პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

კვირა, 22 აგვისტო, 1948 წ. № 167 (8211). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საბჭოები და ადგილობრივი მრეწველობის განვითარება — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
ყაზახეთის კ. პ. (ბ) სამხრეთ ყაზახეთის, ყირგიზეთის კ. პ. (ბ) ჯალალ-აბადის, ყირგიზეთის კ. პ. (ბ) ფრუნზეს, საკავშირო კ. პ. (ბ) ასტრახანის და უკრაინის კ. პ. (ბ) იმიერკარპატის საოლქო კომიტეტების პატაკები ამხანაგ სტალინს (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად (მე-2 გვერდი).
პურეულის ლეწვისა და ხორბლის დამზადების ტემპი ურასაკმაოა (მე-3 გვერდი).
პოლიო აბრამია — გუდოუს. პირას (მე-3 გვერდი).
დედაქალაქის სკოლები ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

საბჭოები და ადგილობრივი მრეწველობის განვითარება

ფართო მოხმარების საგნების სიუხვის შექმნის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ადგილობრივ მრეწველობას. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები წარმატებით იბრძვიან პარტიისა და მთავრობის დავალებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის. სამაგიეროდ საგრძნობლად ჩამორჩება რაიონული ადგილობრივი მრეწველობის განვითარება. როგორც ცნობილია, რაიონული მრეწველობა მოწოდებულია იმუშაოს უმთავრესად ადგილობრივი ნედლეულისა და ნარჩენების ბაზაზე. ამას კი ნაკლებად უწევენ ანგარიშს. ხშირად რაიონული მრეწველობის მუშაკებს სურთ ფართო მოხმარების საგნების გამოშვება უზრუნველყონ ცენტრიდან მიღებული ფონდირებული მასალებით. ასეთ განწყობილებას ადგილობრივი საბჭოები ზოგჯერ არ ებრძვიან, არ იჩენენ სამეურნეო ინიციატივას. ეს აფერხებს ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას.

ჩვენს რესპუბლიკაში არ არის რაიონი, სადაც ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის სათანადო პირობები არ იყოს. კოლმეურნეობები ადგილობრივი მრეწველობისაგან მოითხოვენ საშენ მასალებს (კირს, აგურს, კრამიტს, ნალ-ლურსმანს, ჯაჭვს, ნიჩბებს, ვედროებს, საოჯახო ავეჯს, ჭურჭლეულს და სხვ.) ცხადია, ყველა რაიონში შეუძლებელია მთელი ამ საგნების ერთად წარმოება. მათი გამოშვება დამოკიდებულია ნედლეულზე, მის მარაგზე. მაგრამ თუ დაინტერესებული ადამიანები ხელს მოჰკიდებენ რაიონული მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარებას, მიზანსაც მიაღწევენ.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ინიციატივასა და ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის ზრუნვაზე ბევრად არის დამოკიდებული ამ საქმის წინ წაწევა. ცოტა როდია მაგალითი, როდესაც რაისაბჭოს აღმასკომები ყოველდღიურ დაინტერესებას იჩენენ ადგილობრივი მრეწველობის გაფართოების საკითხებისადმი. სოხუმის რაისაბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის აგურის, კირისა და კრამიტის ქარხნებმა 1948 წლის პირველი ნახევრის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს. ისინი განუხრელად ადიდებენ საშენ მასალათა გამოშვებას. თელავის რაისაბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი, გარდა საშენი მასალებისა, აფართოებს ავეჯისა და ჭურჭლის წარმოებას ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. კარგად მუშაობენ ზუგდიდისა და ცხაკაიას რაიონების ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები.

მაგრამ ყველა რაიონში როდი სჩანს ადგილობრივი საბჭოების სამეურნეო ინიციატივა, ინტერესი ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისადმი. სამტრედიის რაიონში ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე საშენ მასალათა, ავეჯისა და ჭურჭლის წარმოების განვითარების დიდი შესაძლებლობაა, მაგრამ რაისაბჭოს აღმასკომისა და მისი ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების მოუქნელი მუშაობით ეს საქმე ერთ წერტილზეა გაყინული. ახმეტის რაიონში შეიძლება მოეწყოს ნაბდის, თუშური ქუდებისა და ავეჯის წარმოება, მაგრამ აქაც რაისაბჭოს აღმასკომი მრეწველობის ამ დარგების განვითარებას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს.

რაიონული და სასოფლო ცენტრების კეთილმოწყობის, საკოლმეურნეო სოფელში გაჩაღებული მშენებლობის ამოცანები მოითხოვენ საშენ მასალათა წარმოების განვითარებას ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. ამასთან სოფლის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება ისეთ საგნებზე, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, საოჯახო მოწყობილობა, ჭურჭელი, ლურსმანი, სახამებელი, საპონი და ფართო მოხმარების მთელი რიგი სხვა საქონელი, უნდა დააკმაყოფილოს რაიონული დაქვემდებარების ადგილობრივმა მრეწველობამ.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები, მათი სათანადო განყოფილებები ვალდებული არიან მეტი ინიციატივა და უნარი გამოიჩინონ ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის, მოაწყონ ახალი საწარმოები, მიაღწიონ სადირექტივო ორგანოების დავალებათა წარმატებით შესრულებას.

საბჭოების სამეურნეო ინიციატივამ ხელი უნდა შეუწყოს ფართო მოხმარების საგნების სიუხვის შექმნას ქალაქად და სოფლად, გააუმჯობესოს მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, უზრუნველყოს რაიონში არსებულ სიმდიდრეთა მაქსიმალურად გამოყენება.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაწარმოებები ყირგიზულ ენაზე

ფრუნზე, 19 აგვისტო. (საქდესი). ყირგიზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ყირგიზულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის წიგნი „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“. მეხუთე გამოცემად 20 ათას ცალად გამოვიდა ი. ბ. სტალინის წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“.

კონკურსები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელობითს პრემიებზე

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა კონკურსი გამოაცხადა ნ. ი. ლობაჩევსკის სახელობის პრემიის მისაღებად გეომეტრიის, უპირატესად, პრაევკლიდური გეომეტრიის საუკეთესო თხზულებებისათვის. ეს კონკურსი პირველადაა გამოცხადებული. ნ. ი. ლობაჩევსკის სახელობის პირველი პრემია დაწესებულია 25.000 მანეთის, მეორე—15.000 მანეთის ოდენობით.

ეწყობა კონკურსი ნ. ი. პოლზუნოვის სახელობის პრემიის მისაღებად, რომელიც მიკუთვნებულ უნდა იქნას საუკეთესო ნაშრომისათვის თბოტექნიკაში და პ. ნ. იაბლოჩკოვისა — საუკეთესო თხზულებისათვის ელექტროტექნიკასა და შუქტექნიკაში.

პრეზიდიუმმა კონკურსი გამოაცხადა აგრეთვე კ. ა. ტიმირიაზევის, ი. ი. მეჩნიკოვის, ვ. ლ. კომაროვის, პ. ლ. ჩებიშევისა და სხვა უდიდეს რუს მეცნიერთა სახელობის პრემიების მისაღებად. (საქდესი).

ჩვენს რესპუბლიკაში

მეშახტეთა დღის წინ

ტყიბული, (საქ. კორ.). ტყიბულელი მეშახტეები გაცხოველებით ემზადებიან მეშახტის დღის ღირსეული შეხვედრისათვის.

სტალინის სახელობის შახტში წინასადღესასწაულო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მნგრეველები ა. მეტრეველი, ნ. ადუაშვილი და სხვ.

ლენინის სახელობის შახტის კომუნისტი მნგრეველები შ. აფხაიძე, ივ. სერებრიაკოვი და ს. ქათამაძე ქვანახშირის მონგრევის სადღეღამისო ნორმებს სამმაგად ასრულებენ. შახტების პარტიული ორგანიზაციები აწყობენ მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას.

მეშახტეთა ცენტრალურ კლუბში მოეწყო ფოტოსურათების გამოფენა თემაზე: „ძველი და ახალი ტყიბული“. უბნებსა და ცვლებში ტარდება ლექციები და მოხსენებები.

აგვისტოს პირველ რიცხვებში შეიქმნა აგიტბრიგადა 10 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ხელმძღვანელობს მსახიობი ზ. დეისაძე. აგიტბრიგადა წინასადღესასწაულო დღეებში ყველა ცვლას შახტში ჩაშვების წინ უჩვენებს მონტაჟს „შახტის მიღწევებს“ და ერთმოქმედებიან კომედიას „სასტუმროში“.

მომღერალთა და მოცეკვავეთა თვითმოქმედი გუნდები ამზადებენ კონცერტს მეშახტის დღისათვის.

შახტის კლუბებში ტარდება კინოფესტივალი.

ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას

მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესასრულებლად კალინინის სახელობის ქარხნის სტახანოველები ძალღონეს არ იშურებენ. ზეინკალ გ. მიტიჩაშვილს, მღარველ ვ. პავლოვს, მჭედელ კ. მიქაძეს, ლითონმსხმელ ს. მისკალაშვილს, ახალგაზრდა ხარატ ს. ზელენევს, ს. გიორგიზოვს, ვ. გუგუშვილს და სხვებს უკვე განაღდებული აქვთ 5 და 6 წლის ნორმები.

ქარხანა უღლტაციოდ მუშაობს; ნახევარი წლის კარგი მუშაობის შედეგად მოგებამ 671 ათას მანეთს მიაღწია; 22,6 პროცენტით შემცირდა თვითღირებულება, რაც გათვალისწინებულ გეგმას 6,4 პროცენტით სჭარბობს; 2,6 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. 19 აგვისტოსათვის საერთო პროდუქციის გამოშვების 8 თვის საწარმოო გეგმა 101,4 პროცენტით შესრულდა.

შენდება სტადიონი

ხაშური, (საქ. კორ.). ხაშურში ფიზკულტურის მოედანზე დაიწყო ფეხბურთის დიდი სტადიონის მშენებლობა. მოზიდულია ცილძალი საშენი მასალა, მშენებლობაზე ყოველდღიურად 100-120-ზე მეტი კაცი მუშაობს.

სტადიონის მშენებლობის დამთავრება განზრახულია სექტემბრის ბოლოსათვის. იგი 8.000 მაყურებელს დაიტევს.

საბავშვო ბაგა საჰაერო ფლოტის მუშაკთა შვილებისათვის

საქართველოს საჰაერო ფლოტის მუშაკთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკის საჰაერო ფლოტის სამმართველოს გადაეცა № 33 ბავშვთა ბაგა ოცდაათი საწოლით და თბილისის სამოქალაქო აეროპორტთან მოთავსებული ჯანმრთელობის პუნქტი.

საბავშვო ბაგა და ჯანმრთელობის პუნქტი განკუთვნილი არიან სპეციალურად საჰაერო ფლოტის მუშაკთა და მათი ოჯახის წევრებისათვის.

გაზი მოსახლეობისათვის

თბილისის გარეუბანში—ორხევისა და დამპალას რაიონში არის მაღალხარისხოვანი გაზის საბადოები. დღემდე ამ საბადოების ექსპლოატაციას ეწეოდნენ დედაქალაქის მრავალი ორგანიზაცია და სარეწაო არტელები, რომელთა ნაწილი გაზს პრიმიტიულად ამუშავებდა.

გაზის წარმოების უკეთ მოწყობის მიზნით ამ დღეებში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი. ორხევ-დამპალის საბადოს სამრეწველო რაიონი საექსპლოატაციოდ მიეცა დედაქალაქის შიდა მსხვილ ორგანიზაციას, რომლებსაც დაევალათ გაზის გამოწვისა და დამზადების საქმე მოაწყონ სათანადო სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციის რეკომენდაციის საფუძველზე. ამასთან ეს ორგანიზაციები ვალდებული არიან მაღალხარისხოვანი გაზი თბილისის მოსახლეობას მიჰყიდონ მაღაზიების მეშვეობით.

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის ქობულეთის დასასვენებელი სახლი.
ფოტო რ. აკოფოვისა

პარტიული ორგანიზაცია იბრძვის საწარმოში სისუფთავისა და წესრიგის დამყარებისათვის

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა საწარმოში სისუფთავისა და წესრიგის დამყარებისათვის. ამ დღეებში ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა მოიწვია საამქროების და განყოფილებათა უფროსების, პარტორგანიზაციათა მდივნების, საამქროთა კომიტეტების თავმჯდომარეების თათბირი, რომელზეც განიხილეს წარმოების კულტურის ამაღლების საკითხი და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი. ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას სათავეში უდგანან საამქროთა კომუნისტები. ამჟამად, მექანიკურ და საელმავლო საამქროებში წესრიგზე მოჰყავთ დაზგა-დანადგარები, უკეთესად აწყობენ სამუშაო ადგილებს, ასუფთავებენ შიდასაქარხნო გზებს, წარმოების ნარჩენებისაგან ათავისუფლებენ ქარხნის ტერიტორიას.

საღამოს პარტიული სკოლის გამოშვება

წალენჯიხა, (საქ. კორ.). ამ დღეებში შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომთან ჩამოყალიბებული საღამოს პარტიული სკოლის გამოშვება. სკოლაში 24 კაცი სწავლობდა.

პარტიული სკოლის მსმენელებმა შეისწავლეს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, „სსრ კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების გეოგრაფია“, „საბჭოთა ეკონომიკა“ და პარტიული მშენებლობის საკითხები.

მეტი ხილი, მეტი ბოსტნეული

ახალციხე, (საქ. კორ.). არომატითა და გემოვნებით სახელმოხვეჭილი ქართული ჯიშის მსხლისა და ვაშლის, აგრეთვე ბოსტნეული კულტურების — კიტრის, პამიდორის, ბადრიჯანის, საზამთროს, ნესვის, ხახვის და კარტოფილის უხვი მოსავლით ხარობენ წელს ახალციხის, ასპინძის და ადიგენის რაიონების კოლმეურნეები.

ნაჭარბი ხილ-ბოსტნეულისა და კარტოფილის რეალიზაციას კოლმეურნეობები ახდენენ „თბილხილბოსტანკავშირის“ ახალციხის სარაიონთაშორისო კანტორის საშუალებით. სოფელ აწყურსა, წნისსა და აგარაში აიგო ხილბოსტნეულის ახალი მიმღები პუნქტები, კაპიტალური რემონტი გაუკეთდა მიმღებ პუნქტებს სოფელ ურაველში, აგრეთვე ასპინძისა და ადიგენის რაიონების მიმღებ პუნქტებს სოფელ ბერანასა და ასპინძაში.

კანტორას მურაბების დასამზადებლად მოწყობილი აქვს საამქროები. იმუშავებენ აგრეთვე ჩირისა და გამხმარი კარტოფილის დამამზადებელი საამქროები. დამზადების სეზონი მალე დაიწყება.

ახალი სანატორიუმი

კურორტ ტბერდაში გაიხსნა სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს ახალი სანატორიუმი. იგი ქართული სტილით არის გაფორმებული. აქვს რენტგენოლოგიური, ფიზიოთერაპიული, სტომატოლოგიური და ფიზიკური კულტურის კაბინეტები. სანატორიუმი 150-საწოლიანია, იმუშავებს მთელი წლის განმავლობაში. სანატორიუმს აქვს აგრეთვე 40 ჰექტარი საკუთარი დამხმარე მეურნეობა.

ფეხსაცმლის კერვის ახალი მეთოდი

ფეხსაცმლის მრეწველობის მთელ რიგ დიდ საწარმოებში ამჟამად ინერგება კერვის ახალი მეთოდი, რომელიც წარმოადგენს ცხელი ვულკანიზაციის ტექნოლოგიის გაუმჯობესებას. ამ ახალი მეთოდით საზედაპირეზე საძირეს მიმაგრება ხდება ცხელი ვულკანიზაციის წესით, მაგრამ აირწარმოქმნის საშუალებით.

ამ ახალი მეთოდით ფეხსაცმლის დამამზადებელი ორი საწნეხე აპარატი მიღებულია თბილისში. ეს აპარატები გამართულია ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში, სადაც ხდება მათი ტექნიკურად ათვისება.

მომავალ წელს განზრახულია რამდენიმე ასეთი საწნეხე აპარატის შეძენა და თბილისის ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში გამართვა მოზრდილთა ფეხსაცმლის მასობრივი გამოშვების უზრუნველსაყოფად.

მეცხოველეობის მაღალხარისხოვანი პროდუქტები—სახელმწიფოს

ლენინგორი, (საქ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებს შორის სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნეობებმა იკისრეს პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის შესრულონ. სოფელ მარტიანის კოლმეურნეობამ ხორცის ჩაბარების წლიური დავალება 118 პროცენტით შეასრულა, მატყლის ჩაბარებისა — 104 პროცენტით. ასევე გადაჭარბებით შესრულდა ერბოს და კვერცხის ჩაბარების წლიური გეგმები.

დაწინაურდა სოფელ ელოიანის კოლმეურნეობაც. აქაც გადაჭარბებით შეასრულეს ხორცის, მატყლის, კვერცხის, ყველისა და ერბოს ჩაბარების წლიური გეგმები.

სკოლები მზად არიან სწავლის დასაწყებად

გეგეჭკორი, (საქ. კორ.). რაიონში წელს 5 სკოლას გაუკეთდა კაპიტალური და 63 სკოლას მიმდინარე რემონტი. დამზადებულია გეგმით გათვალისწინებული 200 ცალი ახალი მერხი, 55 დაფა, 50 მაგიდა, 40 კარადა და 240 სკამი. შეარემონტეს 960 მერხი, 115 დაფა, 140 მაგიდა, 95 კარადა და 315 სკამი. აითვისეს სკოლებისათვის გამოყოფილი 80 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა, რამდენიმე ასეული კვადრატული მეტრი ფანჯრის მინა, 9,5 ტონა თუნუქი და სხვ.

სკოლებმა შეაგროვეს 21.100 ცალი ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელო.

ახალი სასწავლო წლისათვის კარგად მოემზადნენ ლეხაინდრაოს საშუალო სკოლა (დირექტორი ვ. დანელია), სოფელ ბანძის, მუხურჩის, აბედათის საშუალო და ნაჯახაო-ნაგიბერაოს 8-წლიანი სკოლები.

წელს რაიონის სკოლებში ისწავლის 11.304 მოსწავლე, ხოლო მათ აღზრდაზე 914 მასწავლებელი იმუშავებს.

ელექტროსადგურები კოლმეურნეობებში

წალენჯიხა, (საქ. კორ.). სოფელ ჯვარის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში აგებულია 30 ცხენისძალიანი ელსადგური. სოფელ მუჟავას მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში შეუდგნენ 50 ცხენისძალიანი ელსადგურის მშენებლობას, რომელსაც 7 ნოემბრისათვის დაამთავრებენ.

მცირეძალოვან ელექტროსადგურებს აგებენ აგრეთვე ჯვარის სტალინისა და ჯგალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებშიც.

გზატკეცილი საწირე-ხრესილი

ტყიბული, (საქ. კორ.). მთავრდება საწირე-ხრესილის გზატკეცილის მშენებლობა. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში დაწინაურდა ა. ხორშიგის ბრიგადა, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 300 პროცენტით ასრულებს.

გზატკეცილის მშენებლებს დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეები. გზატკეცილის ორივე მხარეს, ბუნებრივ მწვანე ნარგავთა გარდა, დაამშვენებს ახალი სხვადასხვა ჯიშის მწვანე მცენარეები.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, რომ სამხრეთ ყაზახეთის ოლქმა ვადამდე შეასრულა პურის დამზადების გეგმა. სამხრეთ ყაზახეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს სულ ცოტა 500 ათასი ფუთი პური ჩააბარონ სახელმწიფოს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის გადამეტებით.

ყაზახეთის კ. პ. (ბ) სამხრეთ ყაზახეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **ერლეპესოვი**

სამხრეთ ყაზახეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე **დაულენოვი**

სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული სამხრეთ ყაზახეთის ოლქში **ალთინბეკოვი**

სამხრეთ ყაზახეთის ოლქის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი **ადიხოჯაევი**

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ყირგიზეთის სსრ ჯალალ-აბადის ოლქის კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. ხორბლის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით. ჩაბარებულია 174 ათასი ფუთით მეტი პური, ვიდრე მთელ გასულ წელს. ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ვალდებულებას კისრულობენ სულ ცოტა 100 ათასი ფუთი პური ჩააბარონ დაწესებული სახელმწიფო გეგმის გადამეტებით.

ყირგიზეთის კ. პ. (ბ) ჯალალ-აბადის საოლქო კომიტეტის მდივანი მ. **ამანოვი**

ჯალალ-აბადის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ს. **შანაზაროვი**

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ჯალალ-აბადის ოლქში ი. **აფონინი**

სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი ქ. **უდალიხი**

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, რომ ყირგიზეთის სსრ ფრუნზეს ოლქმა ვადამდე შეასრულა პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფოს ჩააბარა 985 ათასი ფუთით მეტი პური, ვიდრე შარშან. ხორბლის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 110,5 პროცენტით.

ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა იკისრეს პურის დამზადების გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს ჩააბარონ სულ მცირე 400 ათასი ფუთი პური.

ყირგიზეთის კ. პ. (ბ) ფრუნზეს საოლქო კომიტეტის მდივანი **მამბეტოვი**

საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე **ტურატბეკოვი**

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული **სოკოლოვი**

სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი **პავლოვი**

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, რომ ასტრახანის ოლქმა ვადამდე შეასრულა პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. კოლმეურნეობებმა იკისრეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს ჩააბარონ 50 ათასი ფუთი ბრინჯი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ასტრახანის საოლქო კომიტეტის მდივანი **მურატოვი**

საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე **პეტროვი**

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული **იუკოვი**

სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი **ცილიონოვი**

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ იმიერკარპატის ოლქმა ვადამდე შეასრულა პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. კოლმეურნეობებმა და გლეხთა მეურნეობებმა გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს ჩააბარეს 100 ათასი ფუთი პური. ხორბლის დამზადების სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 115 პროცენტით. გრძელდება სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება.

უკრაინის კ. პ. (ბ) იმიერკარპატის საოლქო კომიტეტის მდივანი ი. **კომპანეცი**

საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ი. **ტურიანიცა**

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ს. **შაბრანსკი**

სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი ი. **ზდოროვეცი**

პარტიული ცხოვრება

პარტორგანიზაცია ნერგავს უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილებას

კოლმეურნე შიო ნასყაშვილმა მისთვის მიჩენილი ნაკვეთიდან გეგმაზე ერთიორად მეტი შაქრის ჭარხლის მოსავალი მიიღო. ეს იყო ორი წლის წინათ. მაშინ სტალინირის რაიონის სოფელ თამარაშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა ჩამორჩენილად ითვლებოდა. შიო ნასყაშვილის წარმატებამ მთელი სოფელი აალაპარაკა. ყველა თვალნათლივ დარწმუნდა, რომ შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლის მიღების მთავარი პირობა აგროწესების შესაბამისად მუშაობა იყო.

მოპოვებულ წარმატებას და თანასოფლელთა ქებას კომუნისტ კოლმეურნეში თვითკმაყოფილება როდი გამოუწვევია. პირიქით, ამ ამბავმა სერიოზულად ჩააფიქრა იგი. ყველა ნაკვეთზე რომ შაქრის ჭარხლის ასეთი უხვი მოსავალი მიგვეღო, რა კარგი იქნებოდა კოლმეურნეობისათვის, კოლმეურნეებისათვის, — ფიქრობდა იგი.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის კრების მონაწილენი გააკვირვა შ. ნასყაშვილის სიტყვამ. იგი გაბედულად ლაპარაკობდა, რაც აქამდე მას როდი ახასიათებდა. მისი გამოსვლა არ იყო თავის ქება, იგი გამომდინარეობდა კოლმეურნეობის ინტერესებიდან.

— საჭიროა ვისწავლოთ უხვი მოსავლის მიღების ხერხები, გავეცნოთ მოწინავეთა გამოცდილებას. ეს კი პარტორგანიზაციის სისხლხორცეულ საქმედ, ჩვენს უშუალო მოვალეობად უნდა მივიჩნიოთ. ეს იქნება ჩვენი კოლმეურნეობის დაწინაურების მნიშვნელოვანი საშუალება, — ამბობდა კრებაზე იგი.

პარტორგანიზაციის მიერ ამ მხრივ გადადგმულ პირველ ნაბიჯებს სხვა ღონისძიებებიც მოჰყვა. კოლმეურნეობაში მომუშავე კომუნისტთა ჯგუფი ხშირად მართავდა თათბირებს, სადაც დაწვრილებით სწავლობდნენ უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილებას. მთელმა სოფელმა მიბაძა კომუნისტებს. კოლმეურნეებმა საჭარხლე ნაკვეთები შემოდგომაზევე საუკეთესოდ დაამუშავეს. ისინი სოფელში აგროვებდნენ სასუქს და შეჰქონდათ ნიადაგში, ძირკვებისა და ქვებისაგან სწმენდდნენ ფართობებს. მთელი ზამთრის განმავლობაში აგროვებდნენ ნაცარს.

პარტორგანიზაციის ინიციატივით მოეწყო მოწინავე მეჭარხლის შ. ნასყაშვილის შეხვედრა მეჭარხლე კოლმეურნეებთან, რომლებსაც იგი უზიარებდა თავის გამოცდილებას. მალე პარტორგანიზაციის გარშემო დაირაზმა კოლმეურნე მეჭარხლე ქალთა აქტივი. მათ შორის იყვნენ ანეტა გოგიძე, ნინო გოგიძე, ანა ხეთერელი, მათიკო დათაშვილი.

გაზაფხულზე, როცა მუშაობა მინდვრად გაიშალა პირველი დღეებიდანვე დანარჩენებს მაგალითებს უჩვენებდნენ კომუნისტები იოსებ დათაშვილი, ზურაბ ელბაქიძე და სხვ. ისინი არ კმაყოფილდებოდნენ მარტო იმით, რომ მათთვის მიჩენილი შაქრის ჭარხლის ნათესი საუკეთესოდ მოვლილი ყოფილიყო, არამედ ამოწმებდნენ დანარჩენ კოლმეურნეთა ნამუშევარს, თუ როგორ წარმართავდნენ ისინი საქმეს შიო ნასყაშვილის მეთოდის მიხედვით.

პარტიული ორგანიზაციის მდივანთან ხშირად იყრიდნენ თავს აგიტატორები. მდივანი მათგან მოითხოვდა აგიტაციის დროს დიდი ადგილი დაეთმოთ უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილების პოპულარიზაციისათვის. საკოლმეურნეო კედლის გაზეთის რედაქტორი კომუნისტი ნიკოლოზ დათაშვილი ხელს უწყობდა სტახანოვური მუშაობის გამოცდილების გავრცელებას. კედლის გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდნენ კორესპონდენციები, რომლებშიც ლაპარაკი იყო ახლებურად მუშაობის მეთოდებსა და პირველ შედეგებზე.

პარტორგანიზაციის ინიციატივით კოლმეურნეობა ხშირად იწვევდა სპეციალისტებს რაიონიდან.

ახლა მარტო შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღება როდი იდგა ყურადღების ცენტრში. — მივიღოთ სოფლის მეურნეობის ყველა კულტურის უხვი მოსავალი — ასეთი იყო პარტორგანიზაციის მიერ დასახული ამოცანა.

ვენახში 35 წლის მუშაობის გამოცდილება აქვს იოსებ გოგიძეს. მას ვაზის ოსტატს ეძახიან სოფელში. მანამდე არავინ დაინტერესებულა რომ ეს ოსტატობა, გამოცდილება ყველა მევენახის საკუთრებად გაეხადა. ვაზის ოსტატს ესაუბრა პარტორგანიზაციის მდივანი. საქმეში ჩაერია აგრეთვე კოლმეურნეობის თავმჯდომარე კომუნისტი ი. დათაშვილი. იოსებ გოგიძემ ხალისით დაიწყო მევენახეებისათვის თავისი გამოცდილების გაზიარება.

სიმინდის უხვი მოსავლისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში ჩადგა მემინდვრეობის მეორე ბრიგადის მეორე რგოლის ხელმძღვანელი კომუნისტი არჩილ დათაშვილი. თუ წინა წლებში კოლმეურნეობა ორჯერაც ვერ ატარებდა სიმინდის ნათესების თოხნას, არჩილ დათაშვილის რგოლის მაგალითით თოხნა სამჯერ ჩატარდა.

თუ ამ კოლმეურნეობის უხვი მოსავლის ოსტატები ორიოდე წლის წინათ თითებზე ჩამოითვლებოდა, ახლა თითქმის ყველა მოწინავეთა მეთოდით მუშაობს.

მიმდინარე წელს სტალინისათვის ქართველი გლეხობის მიერ გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ, რომ თამარაშენელი კოლმეურნეები 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 540 ფუთ სიმინდს მოიყვანენ. იქვე ვკითხულობთ ახლა უკვე პარტიული ორგანიზაციის მდივნის შ. ნასყაშვილის ბრიგადის ვალდებულებას — 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 800 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. კოლმეურნეობას კი აღებული აქვს ვალდებულება 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 750 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანოს. მევენახეები იბრძვიან ჰექტარზე 120-130 ცენტნერი ყურძნის მიღებისათვის, მებაღე კომუნისტი იასონ შერაზადიშვილი — ჰექტარზე 80-150 ცენტნერი ხილის მიღებისათვის.

ყველგან სწვდება პარტიული ორგანიზაციის თვალი და ხელი. კარგად მოწყობილი სოციალისტური შეჯიბრება კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვას.

უხვი მოსავლის ოსტატთა მოწინავე მეთოდი ღრმად დაინერგა კოლმეურნეობის ცხოვრებაში, სახე უცვალა მას. სამაგალითო, ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობა გახდა თამარაშენის კოლმეურნეობა სამხრეთ ოსეთში. დღითიდღე მტკიცდება იგი.

ამ საქმეში დიდი წვლილი აქვს შეტანილი საკოლმეურნეო პირველადს პარტიულ ორგანიზაციას.

ვლ. გელაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

აქტივის სწავლება

აქტივის სემინარში, რომელიც 1945 წელს შეიქმნა პარტიის ვანის რაიკომთან მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომების შესასწავლად, გაერთიანებული არიან რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები — 35 კაცი.

სემინარი თვეში ერთხელ იკრიბება. ყოველი მეცადინეობის წინ მსმენელებს ეძლევათ შესასწავლი თემის გეგმა, რის შემდეგაც ისინი თემის შესასწავლად დამოუკიდებლად მუშაობენ. თუ რომელიმე მსმენელს თემის დამოუკიდებლად შესწავლა გაუძნელდება, მაშინ სემინარის ხელმძღვანელი — პარტიის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. გ. ნამიჩეიშვილი მას ეხმარება, საჭიროების დროს ლექციებსა და კონსულტაციებს აწყობს. სემინარის მეცადინეობაზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა იმართება. სემინარის ხელმძღვანელი მხოლოდ მაშინ ერევა კამათში, როცა საკითხი საკმაოდ არ არის განმარტებული. მეცადინეობის შეჯამების შემდეგ სემინარის ხელმძღვანელი მსმენელებს აძლევს მომავალ მეცადინეობაზე შესასწავლი თემის გეგმას და მიუთითებს ლიტერატურას.

სემინარში გაერთიანებულმა ამხანაგებმა უკვე შეისწავლეს ვ. ი. ლენინის შრომები „რა ვაკეთოთ?", „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი, ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიები, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", ი. ბ. სტალინის შრომა „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ" და სხვა.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად შესწავლისათვის დაუღალავად მუშაობენ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ლომინაძე, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ა. თოდუა, პარტიის რაიკომის მდივანი კადრების დარგში მ. ადეიშვილი, განათლების განყოფილების გამგე გ. ძაგნიძე, რაიკომის ინსტრუქტორ-პროპაგანდისტი შ. ლომთათიძე, განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი მ. ხარძეიშვილი, პარტკაბინეტის გამგე ი. ტყეშელაშვილი და სხვები.

ხელმძღვანელ მუშაკთა შორის მაინც არიან ამხანაგები, რომლებიც სისტემატურად არ მუშაობენ თავიანთი თეორიული დონის ასამაღლებლად. ე. სანიკიძე (მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში), ა. ლასხიშვილი (რაიაბრეშუმის გამგე), ვ. დადუნაშვილი (მტს-ის დირექტორი), კ. შანიძე (ცხოველდამზადების კანტორის მმართველი), ვ. შალამბერიძე (საგზაო განყოფილების გამგე) და სხვები სისტემატურად აცდენენ სემინარის მეცადინეობას, სუსტად მუშაობენ თეორიის დაუფლებისათვის.

პარტიის ვანის რაიკომმა საქმე იმგვარად უნდა წარმართოს, რომ ყველა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკი სისტემატურად მუშაობდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესასწავლად.

ვ. კოპალეიშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

საბჭოთა ავიამოდელისტების ახალი მიღწევები

დილიდან გვიან საღამომდე მოსკოვის ახლოს არა სწყდება მოტორთა გუგუნი. აქ მიმდინარეობს მასობრივი საბჭოთა საავიამოდელო სპორტის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო შეჯიბრება.

ჰაერში ადიან მინიატურული საფრენი აპარატები — სხვადასხვა თვითმფრინავების, ჰიდროთვითმფრინავების, ჰელიკოპტერების, ავტოჟირებისა და პლანერების მოდელები. წამდაუწუმ აფრინდებიან ხოლმე სასწავლო თვითმფრინავები. ამ თვითმფრინავებზე არიან სსრ კავშირის ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის სასპორტო კომისრები. ისინი თვალყურს ადევნებენ ფრენას.

გასულ კვირას ავიამოდელისტებმა რამდენიმე ახალი რეკორდი დაამყარეს. დიდი წარმატება მოიპოვა ესტონელმა ხ. მეელაკამ. მისი პლანერის ფუზელაჟიანი მოდელი 1.600 მეტრ სიმაღლეზე ავიდა და 290,4 მეტრით გადააჭარბა საერთაშორისო რეკორდს, რომელიც ფრანგ ჟ. ბუგრეს ეკუთვნოდა.

მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია მოსკოველმა მოსწავლემ ი. ზავიტოვმა. მის მიერ შექმნილმა თვითმფრინავის ფუზელაჟიანმა მოდელმა, რომელსაც რეზინის მოტორი აქვს, ჰაერში 21 წუთსა და 15 წამს დაჰყო და პირდაპირი ხაზით ათი კილომეტრი და 200 მეტრი გაიარა. ი. ზავიტოვმა თითქმის ერთიორად გადააჭარბა ამ კლასის მოდელთა სიშორის არსებულ საკავშირო რეკორდს და 5 წუთითა და 30 წამით გადააჭარბა ხანგრძლივობის საკავშირო რეკორდს, რომელიც შარშან ნორჩმა ბაქოელმა ავიაკონსტრუქტორმა ა. დილანიანმა დაამყარა.

ნ. მარტინოვისა და ნ. გორინის კონსტრუქციის მინიატურულ ავიაძიზელიანმა თვითმფრინავის მოდელმა საათში 44 კილომეტრი და 88 მეტრი სიჩქარე განავითარა. ეს კიდევ ერთი ახალი საკავშირო მიღწევაა.

დოკუმენტები და მასალები ავიამოდელების თვალსაჩინო გაფრენათა შესახებ იგზავნება სსრ კავშირის ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო სასპორტო კომისიაში, რათა მათი შედეგები რეგისტრირებული იქნას, როგორც ახალი რეკორდები. (საკდესი)

სახელმწიფო კრედიტის ხელშემწყობი კომისიები საწარმო-დაწესებულებებში

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ განიხილა საწარმო-დაწესებულებებში სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობი კომისიების მუშაობის საკითხი.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ აღიარა, რომ ამჟამად ხელშემწყობი კომისიების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა განამტკიცონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხზე ხელმოწერა. ხელშემწყობმა კომისიებმა უნდა უზრუნველჰყონ, რომ სესხზე მთელი ხელმოწერის თანხა დროულად და მთლიანად შევიდეს სახელმწიფო ბიუჯეტში სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

საწარმო-დაწესებულებებში მათ სისტემატურად უნდა განუმარტონ ახალმიღებულ მუშა-მოსამსახურეებს, რომ აუცილებელია განაახლონ სესხზე ხელმოწერა, რაც შეჰყვდა წინა სამუშაო ადგილიდან წამოსვლით.

დროული ანგარიშსწორებისადმი, სესხის აღრიცხვა-ანგარიშგების სწორი დაყენებისადმი კონტროლის უზრუნველსაყოფად საწარმო-დაწესებულებებში ხელშემწყობმა კომისიებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყრონ იმას, რომ სესხზე ხელმოწერის თანხები სწორად იქნას დაკავებული, დაუყოვნებლივ გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში და სესხის ობლიგაციები დროულად ჩაბარდეთ მუშა-მოსამსახურეებს.

მოგებათა ყოველი ტირაჟის შემდეგ ხელშემწყობმა კომისიებმა დახმარება უნდა გაუწიონ მუშა-მოსამსახურეებს მათი ობლიგაციების შემოწმებაში.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ წინადადება მისცა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს ყოველდღიური პრაქტიკული დახმარება გაუწიონ სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობ კომისიებს, დააწესონ კონტროლი მათი მუშაობისადმი და სამ თვეში ერთხელ მაინც განიხილონ თავიანთ სხდომებზე მოხსენებანი მათი მუშაობის შესახებ. (საკდესი)

ვაგონების რემონტის ქვსო სური ხერხი

კიევი, 16 აგვისტო. (საკდესი). კიროვის სარკინიგზო კვანძის უფროსმა მწონავემა მ. მ. ცელოუსოვმა შეიმუშავა ფხვიერი ტვირთით დატვირთული ვაგონების რემონტის ახალი ხერხი.

უძირო ყუთების გამოყენება საშუალებას იძლევა ვაგონი შეკეთდეს დაუცლელად და რამდენჯერმე შემცირდება შეკეთების ვადაც.

კიროვის კვანძზე უკვე ასობით ვაგონი შეაკეთეს ახალი ხერხით.

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

ამერიკის პროგრესული პარტია

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ბოლო ხანებამდე ორი ძირითადი პარტია არსებობდა — დემოკრატიული და რესპუბლიკური. დემოკრატიული პარტია შეიქმნა 1828 წელს, რესპუბლიკური—1854 წელს. არსებითი განსხვავება ამ ორ პარტიას შორის არ არსებობს. ორივე პარტია მოქცეულია კაპიტალისტური მონოპოლიების გავლენისა და კონტროლის ქვეშ, იცავს იმპერიალისტების ინტერესებს.

ჯერ კიდევ 1912 წელს, ანალიზს უკეთებდა რა დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების პოლიტიკურ პლატფორმას, ლენინი სწერდა: „ზანგების განთავისუფლების შემდეგ განსხვავება ამ ორ პარტიას შორის სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. ამ პარტიებს შორის ბრძოლა უმთავრესად სწარმოებდა საბაჟო გადასახადების გადიდების თუ შემცირების საკითხის გარშემო. ხალხის მასისათვის ამ ბრძოლას არავითარი სერიოზული მნიშვნელობა არ ჰქონია. ხალხს ატყუებდნენ, ავიწყებინებდნენ თავის საარსებო ინტერესებს ორი ბურჟუაზიული პარტიის ეფექტური და უშინაარსო დუელების საშუალებით" (ტ. XVI, გვ. 190. რუს. გამოც.).

ორპარტიული სისტემის არსებობას ამერიკის ბურჟუაზიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც ლენინი ამბობდა, ორპარტიული სისტემა „ერთ-ერთი ძლიერი საშუალება იყო დაებრკოლებინათ დამოუკიდებელი მუშათა, ე. ი. ნამდვილი სოციალისტური პარტიის აღმოცენება" (იქვე).

როგორც დემოკრატიულ, ისე რესპუბლიკურ პარტიას მეტად თავისებური სტრუქტურული წყობა აქვთ. ეს თავისებურება, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ მათ არა ჰყავთ პარტიის მუდმივი წევრები. პარტიის „წევრობა" განისაზღვრება იმით, თუ რომელ პარტიას მისცემს არჩევნებში ხმას ესა თუ ის ამომრჩეველი.

პარტიული მექანიზმის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენენ პროფესიული პარტიული მოღვაწეები, ეგრეთწოდებული „კარიერის ჯარისკაცები". არჩევნების დროს ამ „პარტიული პოლიტიკოსების" რიცხვი 1,5 მილიონამდე აღწევს. ისინი ატარებენ საარჩევნო მიტინგებს, ყოველგვარი საშუალებებით (აგიტაცია, მოსყიდვა, დაშინება, დაპირებანი და ა. შ.) ეწევიან ამომრჩეველთა ინდივიდუალურ დამუშავებას. პარტიულ აქტივისტებს სათავეში უდგანან „ბოსები", ე. ი. პარტიული მეუფროსეები, რომლებიც ხელმძღვანელობენ საარჩევნო კამპანიის ჩატარებას, აღგენენ სხვადასხვა თანამდებობებზე დასანიშნავ კანდიდატთა სიებს და სხვ. როგორც რესპუბლიკურ, ისე დემოკრატიულ პარტიას აქვს თავისი წესდება, ისინი იწვევენ ყრილობებს, ირჩევენ კომიტეტებს და აქვეყნებენ ანგარიშებს, მაგრამ ფაქტიურად პარტიებში მთელი ძალაუფლება ერთი მუჭა „ბოსების" ხელშია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად საშუალოდ ტარდება 22-მდე სხვადასხვა სახის არჩევნები. ამ არჩევნების ჩატარება პარტიული აპარატის ხელშია. პარტია თავის კანდიდატებს არჩევს ასიათასობით თანამდებობაზე და ამით სახელმწიფო მექანიზმისადმი თავის კონტროლს ახორციელებს.

მაგრამ ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს პრეზიდენტის არჩევნებს, რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება.

მიმდინარე წელს პრეზიდენტის არჩევნები შესდგება 2 ნოემბერს. ამ დღეს აირჩევენ აგრეთვე წარმომადგენელთა პალატის ყველა წევრს და სენატის შემადგენლობის ერთ მესამედს. საარჩევნო კამპანია უკვე რამდენიმე თვეა რაც ფართოდ გაჩაღდა.

ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში საარჩევნო ბრძოლა ყოველთვის სწარმოებდა ორ პარტიას — დემოკრატიულ და რესპუბლიკურ პარტიას შორის. თვითეული ამ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მიუხედავად მათ სახელწოდებათა განსხვავებისა, ფაქტიურად არაფრით არ განირჩევა და ერთნაირად არის მიმართული მსხვილი კაპიტალისტების ბატონობის დასაცავად. ამიტომაა, რომ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი რაოდენობა თავს არიდებს არჩევნებს. ამერიკელი ამომრჩევლები ასე მსჯელობენ: „სულ ერთი არ არის, ხმას მივცემთ სახედარს თუ სპილოს? ორივე ისინი ერთ სამხეცეს ეკუთვნიან". (სახედარი გამოხატულია დემოკრატიული პარტიის ოფიციალურ ემბლემაზე, სპილო კი რესპუბლიკელთა ემბლემაზე).

მომავალი არჩევნებისათვის რესპუბლიკური პარტიის „ბოსებმა" პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენეს შტატ ნიუ-იორკის გუბერნატორი ტომას დიუი, დემოკრატები კი დაკმაყოფილდნენ ახლანდელი პრეზიდენტის ტრუმენის კანდიდატურით. ფინანსიურ ოლიგარქიას თავისი არჩევანი აშკარად შეჩერებული აქვს დიუიზე — ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული წრეების ამ პირწავარდნილ წარმომადგენელზე.

რესპუბლიკური პარტია იმედოვნებს, რომ საყოველთაო უკმაყოფილება, რაც ტრუმენის საშინაო და საგარეო პოლიტიკით არის გამოწვეული, ავტომატურად მოუტანს გამარჯვებას მათს კანდიდატს. დიუის უკვე ახლა უჭირავს თავი გამარჯვებულივით. მისი მომხრეები ნაადრევად იწყებენ ჯერ კიდევ „მოუკლავი დათვის ტყავის" გაყოფას — „თბილი ადგილების" დანაწილებას. რესპუბლიკელები აცხადებენ, „ამჯერად ჩვენ სერიოზული მოწინააღმდეგე არა გვყავსო". ტრუმენის კანდიდატურას ისინი ანგარიშში არ აგდებენ. მაგრამ დემოკრატები უბრძოლველად არ დასთმობენ თეთრ სახლს*), რომელშიც ისინი განუწყვეტლივ იმყოფებიან უკანასკნელი 16 წლის განმავლობაში.

დემოკრატიული პარტია იძულებულია მანევრებს მიმართოს, რათა შეინარჩუნოს თავისი პოზიციები. საარჩევნო კამპანიის პერიოდში ამ პარტიის მეთაურებს თავი მოაქვთ რუზველტის მიმდევრებად, მაგრამ ამერიკის ხალხი სულ უფრო და უფრო რწმუნდება იმაში, რომ არც დემოკრატიულ, არც რესპუბლიკურ პარტიას არ შეუძლია სხვა პერსპექტივა გადაუშალოს მას, გარდა სამხედრო ავანტიურების პოლიტიკისა.

ასეთ ვითარებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული მასშტაბის მესამე პარტიის დაარსებას. ეს არის მშვიდობის დამცველთა, დემოკრატიის მიმდევართა პარტია.

ამ ახალი პოლიტიკური პარტიის ყრილობა შესდგა მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს ფილადელფიაში. ყრილობამ მიიღო პარტიის ოფიციალური სახელწოდება — „პროგრესული პარტია", შეიმუშავა წინასაარჩევნო პროგრამა, აირჩია პარტიის ხელმძღვანელი ეროვნული კომიტეტი და ამერიკის პრეზიდენტის პოსტზე წამოაყენა ჰენრი უოლესის კანდიდატურა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი პოლიტიკური პარტიის წარმოშობა სრულებითაც არ წარმოადგენს შემთხვევით მოვლენას. შეერთებული შტატების მმართველი წრეების დემონსტრატიულმა გადახვევამ რუზველტის პოლიტიკიდან, რეაქციული დემოკრატებისა და რესპუბლიკელების ფაქტიურმა გაერთიანებამ აღვირახსნილი იმპერიალისტური პოლიტიკური პლატფორმის საფუძველზე გამოიწვია პროგრესული ელემენტების მოძრაობის გაძლიერება. ამ ელემენტებმა 1946 წლის დეკემბერში შეჰქმნეს ორგანიზაცია „ამერიკის პროგრესული მოქალაქენი", რომელიც პროგრესული პარტიის ბირთვი გახდა. ეს ორგანიზაცია უკვე 1947 წლის მარტისათვის ითვლიდა 150 განყოფილებას 166.000 წევრით.

ტრუმენის მთავრობის კურსი სულ უფრო და უფრო რეაქციულ-ექსპანსიური გახდა საგარეო პოლიტიკაში და პოლიციურ-ტერორისტული — საშინაო პოლიტიკაში. ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ გადაუდებლად მოითხოვა ახალი პარტიის შექმნა, ისეთი პარტიისა, რომელსაც შეეძლო თავის პროგრამაში გამოეხატა ხალხთა ფართო მასების აღშფოთება ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკით, მუშების, მოსამსახურეებისა და ფერმერების უკმაყოფილება მათი მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით, სიძვირის შეუჩერებელი ზრდით, რეალური ხელფასის შემცირებით მონოპოლიების მოგებათა არნახული ზრდის პირობებში.

ამერიკის პროგრესულ პარტიას სათავეში უდგას განსვენებული პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი ჰენრი უოლესი.

პროგრესული პარტიის წინასაარჩევნო პროგრამაში გამოსჭვივის მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლის სულისკვეთება. საშინაო პოლიტიკაში ეს პროგრამა ითვალისწინებს მთელ რიგ დემოკრატიულ ღონისძიებათა გატარებას, რომლებიც მიმართულია სამარცხვინო რასიული და პოლიტიკური დისკრიმინაციის წინააღმდეგ. პროგრამა მოითხოვს ტაფტ-ჰარტლის ანტიმუშური კანონის*) გაუქმებას, ფასებზე მთავრობის კონტროლის დაწესებას და ა. შ.

საგარეო პოლიტიკის დარგში პროგრესული პარტიის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებულ უთანხმოებათა მშვიდობიანი გზით მოწესრიგება იმ წინადადებათა ბაზაზე, რაც მოცემულია ჰენრი უოლესის მიმდინარე წლის 11 მაისის ღია წერილში ი. ბ. სტალინისადმი. პროგრესული პარტიის საგარეო პოლიტიკური პროგრამა ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცებას და საერთაშორისო ხელშეკრულების დადებას განიარაღებაზე; უმოკლეს ვადაში სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას გერმანიასთან და იაპონიასთან; ხელის აღებას გერმანიის დანაწილების პოლიტიკაზე; „მარშალის გეგმის" და „ტრუმენის დოქტრინის" უარყოფას, სხვა სახელმწიფოთა საქმეებში სამხედრო და ეკონომიური ჩარევის შეწყვეტას და სხვ. ეს პროგრამა ერთხმად მიიღო პროგრესული პარტიის ყრილობის 3.240 დელეგატმა, რომლებიც წარმოადგენდნენ ამერიკის ყველა 48 შტატს და მოიწონა ამ პარტიის ყველა მომხრემ მთელს ქვეყანაში.

უოლესი დაუნდობლად ხდის ნიღაბს „წითელი საფრთხით" ამერიკის ხალხის დაშინების პოლიტიკას, რომელსაც ფართოდ მიმართავენ ამერიკის შეერთებული შტატების პლუტოკრატიული, რეაქციული წრეები. უოლესმა განაცხადა, რომ ამერიკის ხალხს სურს ჰქონდეს ცოტა „წითელი საკითხები" და ბევრი წითელი ხორცი; მილიონობით ადამიანებმა იციან და მილიონობით სხვა ადამიანებმა უნდა გაიგონ, რომ კრემლმა და კომუნისტებმა როდი გაადიდეს ხორცის და რძის ფასი ამერიკაში.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნები გადამწყვეტ ფაზაში შედის. ახლა, პროგრესული პარტიის შექმნის შემდეგ, შეერთებულ შტატებში საბოლოოდ გამოიკვეთა ორი ძალა, ორი ბანაკი — რეაქციის ბანაკი რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების იმპერიალისტური წრეების სახით და პროგრესული ბანაკი მესამე, პროგრესული პარტიის სახით. ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო ახლოვდება პრეზიდენტის არჩევნების დღე.

პროგრესული პარტიის მოღვაწეობა ამერიკის შეერთებული შტატების დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების მძიმე პირობებში, ყოვლისშემძლე კაპიტალისტური მონოპოლიების ბატონობის პირობებში, უდიდეს სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ყველა ჯურის რეაქციონერები ერთიანი ფრონტით უტევენ პროგრესულ პარტიას. მის წინააღმდეგ მოქმედებენ ისეთი „ნაცადი მეთოდებით", როგორიცაა ტერორი, ჭორი, პოლიციური კანონმდებლობა, გათიშვის მოხდენის ცდა. რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების რეაქციული წრეები არ იშურებენ არც ძალებს, არც დოლარებს იმისათვის, რომ ყოველმხრივ შეაფერხონ პროგრესული პარტიის გამარჯვება არჩევნებში.

მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება არჩევნების შედეგები, პროგრესული პარტიის შექმნის თვით ფაქტი მოწმობს პროგრესული ბანაკის ზრდას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

დ. მაისურაძე

*) ამერიკის პრეზიდენტის რეზიდენცია ვაშინგტონში.

*) ტაფტ-ჰარტლის კანონით დადგენილია მეწარმეებლთა და მუშათა შორის კონფლიქტების მოგვარების ისეთი წესი, რომელიც ფაქტიურად გამორიცხავს გაფიცვების მოწყობის შესაძლებლობას.

გამოფენა „სსრ კავშირის არქიტექტურა 30 წლის განმავლობაში"

16 აგვისტოს მოსკოვში გაიხსნა გამოფენა „სსრ კავშირის არქიტექტურა 30 წლის განმავლობაში".

გამოფენის ექსპონატები განლაგებულია 6 დიდ დარბაზში. შესავალი დარბაზი მნახველს აცნობს თბილისის, ერევნის, ბაქოს, ტაშკენტის, სვერდლოვსკისა და ჩვენი ქვეყნის სხვა უდიდესი სამრეწველო ცენტრების რეკონსტრუქციას. ფოტოსურათები ასახავენ შესანიშნავ პროსპექტებს, ვრცელ მოედნებს, პარკებსა და სკვერებს, ახალ არქიტექტურულ ანსამბლებს. ერთ-ერთი სტენდი მიძღვნილია ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის სამშობლო ქალაქ გორის რეკონსტრუქციისადმი.

ამავე დარბაზში მოთავსებული მრავალი სტენდი ცხადჰყოფს კიევის, ოდესის, ხარკოვის, მინსკის, სევასტოპოლის, კალინინისა და ფაშისტ ოკუპანტთა მიერ დანგრეული სხვა ქალაქების აღდგენას.

მნახველთა ყურადღებას იპყრობს მომავალი სტალინგრადის მნათი პანორამა.

გამოფენაში დიდი ადგილი უჭირავს ექსპონატებს, რომლებიც გვიჩვენებენ დნეპრჰესს, ვოლხოვის ჰიდროელექტროსადგურს, მოსკოვის სტალინის სახელობის ავტოქარხანას, ურალის მანქანათმშენებელ ქარხანას და საბჭოთა არქიტექტორების პროექტებით აგებულ სხვა ინდუსტრიულ გიგანტებს.

ფართოდ არის წარმოდგენილი ახალი ქალაქების — კომსომოლსკის, მაგადანის, ბირობიჯანის, მოლოტოვსკის, კიროვსკის, იგარკისა და სხვათა მშენებლობა.

დიდი დარბაზი აქვს დათმობილი საკოლმეურნეო მშენებლობას. უკანასკნელი ხუთწლედის მანძილზე მარტო სახელმწიფო კრედიტის დახმარებით ჩვენს ქვეყანაში აგებული იქნება 3.400 ათასი სასოფლო საცხოვრებელი სახლი, აქედან 2.240 ათასი იმ რაიონებში, რომლებმაც ფაშისტური ოკუპაცია განიცადეს.

სპეციალური განყოფილებები მიძღვნილი აქვს მოსკოვისა და ლენინგრადის დიად არქიტექტურას. (საკდესი)

საშემოდგომო ხვნა დაიწყო

სიღნაღის რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში დაწყებულია საშემოდგომო ადრეული ხვნა. ცალკეული ბრიგადები და რგოლები ახალ წარმატებებს აღწევენ.

სოფელ ქვემო ბოდბის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ალ. კოჰლამაზაშვილი) წელს შემოდგომაზე 450 ჰექტარს დასთესს. ახლა ამ კოლმეურნეობის მინდვრებზე ყოველდღიურად 13 გუთნეული მუშაობს. უკვე მოხნულია 100 ჰექტარზე მეტი. მოწინავეა გამოცდილი გუთნისდედა ვანო ბენაშვილი. იგი ყოველდღიურად 0,5 ჰექტარ ფართობს ხნავს. მაღალნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე ალექსანდრე, გიორგი, ტიმოთე და გიო კოჰლამაზაშვილები, ლადო ბენაშვილი, მეხრეები ვ. ბენაშვილი, გ. ბარნაბიშვილი, მ. ლეკიაშვილი და ი. კოჰლამაზაშვილი.

საშემოდგომო ხვნაში დაწინაურდნენ სოფელ მაღაროს კოლმეურნეობა „შრომის" ბრიგადირები გ. გოდერძიშვილი და ი. ქადაგიშვილი. ისინი ყოველდღიურად 6 გუთნეულს ამუშავებენ. კარგად მუშაობენ მაღაროს დიმიტროვის (თავმჯდომარე ნ. შაიშმელაშვილი) და ბოდბის ორჯონიკიძის (თავმჯდომარე თ. ტარყაშვილი) სახელობის კოლმეურნეობები.

არის ნაკლიც. სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში" (თავმჯდომარე ელ. შაიშმელაშვილი) ბრიგადირ ნ. ქუფარაშვილის ნაკვეთები გაუწმენდავად მოხნეს.

გაუწმენდავ მიწებს ხნავენ აგრეთვე სოფელ ულიანოვკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ზ. არეშინი). აქ ულიანოვკის მტს-ის ტრაქტორისტმა ს. არეშინმა 10 ჰექტარი ნამჯით და ბალახით დაფარული ნაკვეთი მოხნა. მსგავს მაგალითებს სხვაგანაც ვხვდებით.

კოლმეურნეობათა გამგეობებსა და მტს-ის მუშაკებს მართებთ მეტი ყურადღება მიაქციონ ხვნის ხარისხს.

გ. ყაჯრიშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

პურეულის ლეწვისა და ხორბლის დამზადების ტემპი არასაკმაოა

თავთავიანი მარცვლეული კულტურების მკა ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებმა დაამთავრეს, მაგრამ ლეწვა აშკარად ჭიანურდება. არადამაკმაყოფილებელია სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ტემპიც. მართალია, ცალკეულმა კოლმეურნეობებმა, მაგალითად, სოფელ საძელის, ორალის, ყულალისის, ხაკის, სვირის, ჭაჭარაქის, აბის და ქვემო სხვილისის კოლმეურნეობებმა, მკის პარალელურად მოაწყეს ლეწვა და უკვე მოიხადეს პატრიოტული ვალი სამშობლოს წინაშე — ჩააბარეს პირველი განალეწი მაღალხარისხოვანი პური, მაგრამ მოწინავეთა გვერდით არიან ჩამორჩენილნიც.

ლეწვა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სოფელ ანის (თავმჯდომარე ვ. კაპანაძე), ელიაწმინდის (თავმჯდომარე ვ. გელაშვილი), ბოგის (თავმჯდომარე პ. უჩიძე), ანდრიაწმინდის (თავმჯდომარე ინასარიძე), ხეოთის (თავმჯდომარე ა. ნებაძე), ტატანისის (თავმჯდომარე ა. სამსონიძე), ზემო სხვილისის (თავმჯდომარე პაპიძე) და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობებში. სოფელ საყურეთის კოლმეურნეობაში მომკილი 202 ჰექტარი პურიდან გალეწილია მხოლოდ 30 ჰექტარის მოსავალი. გასაგებია, რომ ეს კოლმეურნეობა პურის ჩაბარებასაც აგვიანებს. ახალციხის კოლმეურნეობაში 134 ჰექტარის მოსავლიდან გალეწილია 60 ჰექტარის მოსავალი. სოფელ ზიკილიაში აღებული მოსავლის ერთი მეხუთედიც არ გაულეწიათ. ასეთივე მდგომარეობაა აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

აღნიშნულ კოლმეურნეობებში ლეწვა სალეწი მანქანებით მიმდინარეობს, მაგრამ სალეწები იმის გამო, რომ საჭირო მუშახელით და ძნების მოზიდვით ვერ უზრუნველჰყოფენ, ხშირად უქმად დგანან.

პურის ჩაბარების ტემპი უკანასკნელ ხუთდღიურში უფრო დაბალია, ვიდრე პირველ დღეებში. ლეწვისა და პურის ჩაბარების ჩამორჩენის მიზეზად ზოგან ტრანსპორტის სიმცირეს ასახელებენ, მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარი ის არის, რომ კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელია შრომა, გამოუყენებელია შინასაკოლმეურნეო ტრანსპორტი. ეს კი მოწმობს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების არასაკმაო ხელმძღვანელობას პურის ლეწვისა და დამზადების საკითხებისადმი.

ნ. ფარჯანაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი

მოკლე ვადებში აიღეს თავთავიანი კულტურების მოსავალი, დროულად დაამთავრეს ლეწვა და პირნათლად მოიხადეს სახელმწიფო ვალდებულება ბორჯომის რაიონის სოფელ ლიკანის, წაღვერის, ვაშლოვანის, ჰობისხევის, ზორეთისა და პატარა ახალდაბის კოლმეურნეობებმა.

მაგრამ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჭიანურდება მოსავლის აღება, გალეწვა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება. კორტანეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე თ. რაზმაძე) 28 ჰექტარიდან მოსავალი აღებულია მხოლოდ 14 ჰექტარზე. ნელი ტემპით მიმდინარეობს ლეწვაც. აქ სრული შესაძლებლობით არ იყენებენ მუშა პირუტყვს. კოლმეურნეობაში ადგილი აქვს პურეულის დანაკარგებსაც. ასევე ჩამორჩა მოსავლის აღებაში ყვიბისის კოლმეურნეობა. აქ მოუწესრიგებელია შრომა. ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე მონაწილეობას როდი იღებს საკოლმეურნეო შრომაში. მოსავლის აღება, დაზვინვა-დაბულულება და ლეწვა ჭიანურდება ვარდგინეთის, ზანავის, რველის და ნეძვის კოლმეურნეობებშიც.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს რაიონში თივის აღება და საკვების დასილოსება. წელს გეგმით აქ თივა უნდა აილონ 9.800 ჰექტარზე. ეს გეგმა მხოლოდ სანახევროდაა შესრულებული. ასევე ითქმის სილოსის დამზადებაზე.

თივის აღება ჩამორჩა ჭიხარულის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე პ. ბერიძე), სადაც 400 ჰექტარიდან გათიბულია 250 ჰექტარი. გუჯარეთის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ქუმარიტაშვილი) 465 ჰექტარიდან თივა აღებულია 100 ჰექტარზე. ასევე ჩამორჩნენ ტინტურის (თავმჯდომარე ა. მაკიევი), წითელი სოფლის (თავმჯდომარე დ. ფილიაევი), ოდეთის (თავმჯდომარე დ. ქოლიევი), ნეძვის (თავმჯდომარე ა. ჩაჩანიძე), ყვიბისის (თავმჯდომარე ს. გელაშვილი) კოლმეურნეობები.

მოსავლის აღებისათვის ახლა ამინდი ხელსაყრელია. კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერებით საჭიროა მივაღწიოთ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და მოსავლის აღების ბოლშევიკურად დამთავრებას.

ვ. გურგენიძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„რატომ ჩამორჩა ლეწვა?"

ამ სათაურით „კომუნისტის" 8 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც გაკრიტიკებული იყო ნაკლოვანებანი მოსავლის აღებისა და ლეწვის საქმეში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანი ამხ. გრ. ფოფხაძე გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. მიღებული ზომებით წერილში აღნიშნული ნაკლოვანებანი გამოსწორებულია, კერძოდ სოფელ გომისა და აგარების კოლმეურნეობაში გაძლიერებული ტემპით ხწარმოებს პურეულის ლეწვა, მაღალნაყოფიერად მუშაობს ხურამის მექანიზაციის სკოლის კომბაინი.

მოწინავენი და ჩამორჩენილნი

ჩხოროწყუ (საკ. კორ.). სოფელ ხაბუმის ბერიას, ბაქრაძის, ორჯონიკიძის და სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობებს თანაბარი პირობები აქვთ მიმდინარე საკოლმეურნეო სამუშაოთა დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის. მაგრამ სამუშაოთა შესრულების შედეგი ამ კოლმეურნეობებში ძლიერ განსხვავებულია.

ბერიას სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე მ. ჩალიგავა) კარგად აქვს მოვლილი ჩაის პლანტაციები. კოლმეურნეობამ სამი თვის (მაისი, ივნისი, ივლისი) გეგმა 31 ივლისისათვის 100,9 პროცენტით შეასრულა. კარგად მიმდინარეობს ჩაის კრეფა ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე მ. ვახანია).

ჩაის კრეფაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ ამავე სოფლის ორჯონიკიძის და სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობები (თავმჯდომარეები — ა. ჯალაღანია და მ. როდონაია). ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას სამ თვეში უნდა მოეკრიფა 10.232 კილოგრამი ჩაი, 31 ივლისისათვის მოკრეფილი იყო 5.822 კილოგრამი, ხოლო სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობამ სამი თვის გეგმით გათვალისწინებული 8.500 კილოგრამი ჩაის ფოთლის ნაცვლად მოკრიფა 4.032 კილოგრამი.

დედაქალაქის სკოლები ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ

1 სექტემბერს ჩვენი დედაქალაქის მოსწავლეებმა ნათელ და კეთილმოწყობილ სასკოლო შენობებში უნდა დაიწყონ მეცადინეობა. ისინი უზრუნველყოფილ უნდა იქნან მაღალკვალიფიციური მასწავლებლებით, მათ უნდა მიეცეთ საკმაო რაოდენობით სახელმძღვანელოები, რვეულები, ფანქრები, მელანი და სხვა სასწავლო ნივთები — ასეთი ამოცანა დაისახეს დედაქალაქის სახალხო განათლების მუშაკებმა, როცა შეუდგნენ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას, — განაცხადა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. გ. ბარამიძემ.

წელს კაპიტალურად უნდა შეკეთებულიყო 49 სკოლა, სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა უზრუნველვეყო სკოლები სათბობი მასალით, სასწავლო კაბინეტების მოწყობილობით, სახელმძღვანელოებით და სხვ.

ძირითადად ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ქალაქის სკოლებში უკვე დამთავრდა. სასკოლო შენობების რემონტი კარგად ჩატარდა 26 კომისრის, ლენინის და სტალინის რაიონთა სკოლებში. დროულად და ხარისხიანად დაამთავრეს სასკოლო შენობის შეკეთება ქალთა 35-ე, მე-28, მე-12, მე-19, ვაჟთა მე-9, 35-ე, 33-ე საშუალო სკოლებმა.

რამდენიმე დღეში სასკოლო შენობათა რემონტი დამთავრდება კიროვის და მოლოტოვის რაიონების სკოლებში. ორჯონიკიძის რაიონში კი ამ მხრივ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. სასკოლო ინვენტარის შეკეთებაში ჩამორჩება ბერიას რაიონი. ვაჟთა პირველ და მეორე, ქალთა პირველ საშუალო სკოლებში სასკოლო ინვენტარის შეკეთება ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის.

ზამთრისათვის შეშით დედაქალაქის სკოლების უზრუნველსაყოფად თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 13.000 კუბური მეტრი შეშა გამოჰყო. აქედან სკოლებს ადგილებზე უკვე მიტანილი აქვთ 10.000 კუბური მეტრი შეშა. ჩვენ გვაქვს ისეთი სკოლები, სადაც გათბობა ქვანახშირითა და მაზუთით სწარმოებს. აღნიშნული სათბობი კი ჯერ მომარაგებული არა გვაქვს იმიტომ, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს ჯერ სათანადო ფონდი არ გამოუყვია.

ახალი სასწავლო წლისათვის გადავწყვიტეთ სავსებით უზრუნველვეყო სკოლები სასწავლო კაბინეტებით — ქიმიაში, ფიზიკაში, ისტორიაში, ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში, აგრეთვე ყველა ვაჟთა სკოლა სამხედრო კაბინეტებით. ეს ამოცანა ძირითადად გადაჭრილია. თბილისის ყველა სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სასწავლო კაბინეტები და მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელთა შესავსებად 100.000 მანეთზე მეტი დაიხარჯა.

წელს შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეში. ვფიქრობთ, რომ ჩვენი მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმძღვანელოებით. თბილისის სკოლებმა შეაგროვეს აგრეთვე 90.000-ზე მეტი ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელო. კარგად გვაქვს საქმე რვეულებით მოსწავლეთა მომარაგების მხრივ. სწავლის დაწყების პირველ დღეს თვითეული მოსწავლე 6 ცალ რვეულს მიიღებს.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში ერთ-ერთ მთავარ ამოცანას კადრების სწორად განაწილება წარმოადგენს. ამ მხრივ კარგი მდგომარეობა გვაქვს. ქალაქის ყველა სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური მასწავლებლებით.

წელს ქალაქს შემატა ახალი სკოლები. 1 სექტემბერს 26 კომისრის რაიონში შაუმიანის ქუჩაზე მუშაობას შეუდგება ვაჟთა 42-ე საშუალო სკოლა, რომელიც მოთავსებულია ახალ შენობაში. ქალთა 51-ე საშუალო სკოლის ბაზაზე შეიქმნა ერთი ახალი საშუალო სკოლა. იგი მოთავსებულია პლეხანოვის პროსპექტზე აღნიშნული სკოლის ძველ შენობაში, რომელიც ახლახან გადმოვეცა. კიროვის სახელობის რაიონში გაიხსნება აგრეთვე ერთი დაწყებითი სკოლა.

ქალაქის უმრავლეს სკოლებში წელს მეცადინეობა ერთი და ორცვლიანი იქნება. მარტო 23-ე საშუალო სკოლა იმუშავებს სამ ცვლად.

დედაქალაქის სახალხო განათლების მუშაკები პარტიულ, კომკავშირულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან ერთად ყველაფერს გააკეთებენ, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ დარჩენილი დრო, რომ სრული მზადყოფნით შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს.

რაიონული საბჭოს სესიაზე

მშრომელთა დეპუტატების ამბროლაურის რაიონული საბჭოს სესიამ დროულად განიხილა რაიონის სკოლებში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი.

მთელ რიგ მიღწევებთან ერთად ახალი სასწავლო წლისათვის სამზადისში სესიამ მრავალი ნაკლოვანება აღნიშნა. ბარეულისა და ურავის რვაწლიან, გოგოლეთის, ლაბეჭინის, ქვედა ღვარდიის, მუხლის, ფუტიეთის და აბარის დაწყებით სკოლებს არ ჰქონდათ დაწყებული სასკოლო შენობებისა და ინვენტარის რემონტი. ხიდიკრის რვაწლიანი სკოლა მეორე წელია აშენებს ორ საკლასო ოთახს, მაგრამ მშენებლობის ტემპი იმდენად დაბალია, რომ იგი მიმდინარე წელსაც არ დამთავრდება, თუ გარდატეხა არ მოხდა. ცუდ მდგომარეობაშია სკოლების სათბობით მომარაგების საქმე. რაიონის არცერთ სკოლაში შეშის მიზიდვა არ დაუწყიათ. ნელი ტემპით აკეთებს ღუმელებს სკოლებისათვის სამჭედლო არტელი „მედგარი". მას, ნაცვლად 120 ღუმელისა, დღეისათვის დამზადებული აქვს მხოლოდ 10 ღუმელი.

მოუწესრიგებელია აგრეთვე სკოლებში ნახმარი სახელმძღვანელოების შეგროვების საქმე. ბოსტანის, სინათლის, სხვავის და თლუღის სკოლებში დღემდე არ უზრუნიათ ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შეგროვებისათვის.

რაისაბჭოს სესიამ დასახა ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსასწორებლად.

ა. გეწაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ქაღალდის ფაბრიკის კოლექტივის წარმატება

თბილისის ქაღალდის ფაბრიკის კოლექტივს წელს კარგი საწარმოო მაჩვენებლები აქვს. თბილისში ეს ერთადერთი ფაბრიკაა, რომელიც თავისი პროდუქციით აკმაყოფილებს თამბაქოს ფაბრიკებს. თვეთნახევრის განმავლობაში ფაბრიკაში მიმდინარეობდა კაპიტალური რემონტი. მიუხედავად ამისა, კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა აქ ოთხ თვესა და 15 დღეში 102,7 პროცენტით შეასრულეს.

ეს შედეგები მიღწეულ იქნა ადმინისტრაციისა და პარტიული ორგანიზაციის მიერ მთელ რიგ საწარმოო ღონისძიებათა განხორციელებით, მანქანა-იარაღების რეკონსტრუქციით, ბრიგადული და ინდივიდუალური სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით.

აღებულ ტემპს კოლექტივი დღესაც ინარჩუნებს; სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ივლისის დავალება შეასრულეს 108.4 პროცენტით.

ფაბრიკის კოლექტივმა 7 ნოემბრისათვის იკისრა წარმოებას მისცეს სამასი ათასი მანეთის მოგება. ნახევარი წლის განმავლობაში მოგებამ 250 ათას მანეთს მიაღწია.

ფაბრიკას ჰყავს წარჩინებული ადამიანები, რომლებიც თვიურ დავალებას 200-300 და 400 პროცენტით ასრულებენ. ესენი არიან: ქაღალდის მჭრელი საბჭოთა კავშირის გმირი კ. გავრილოვი, საპილზე ქაღალდის მჭრელი ტ. ბაგიშვილი, ხარატი ა. ტარუმოვი, ქაღალდის საფქვავ მანქანაზე მომუშავე მ. აგანესიანი, დამხარისხებელი ე. დათუნაშვილი და სხვა.

საამქროებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზეა ცვლის ოსტატის ი. ლოსაბერიძის ბრიგადა, რომელიც ოთხი თვის განმავლობაში ინარჩუნებს საქარხნო გარდამავალ წითელ დროშას.

„ყველკარაქმრეწვის" კოლექტივის წარმატება

წალკა („კომუნისტის" სპეც. კორ.) ყველისა და კარაქის გამომუშავებასა და დამზადებაში წალკის რაიონს რესპუბლიკაში პირველი ადგილი უკავია. რაიონში 9 ქარხანაა, მათ შორის სამი მექანიზებული.

აქ მზადდება საუკეთესო ხარისხის შვეიცარული ყველი. ამზადებენ ჰოლანდიურ და თუშურ ყველს, აგრეთვე სულგუნს. ყველისა და კარაქის მრეწველობის ოსტატთა სრულიად საკავშირო გამოფენაზე 1947 წელს წალკაში დამზადებულმა შვეიცარულმა ყველმა პირველი ადგილი დაიკავა და საბჭოთა კავშირში ცნობილმა წალკის ქარხნის ოსტატმა გრ. ჩამურლიევმა მადლობა და ჯილდო დაიმსახურა.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით წალკის ქარხნები ახალ წარმატებას აღწევენ. წელს მათ მიერ გამოშვებული ყველი გაცილებით მაღალი ხარისხისაა, ვიდრე შარშან. განსაკუთრებით ეს შეეხება ყველ „ექსტრას" და უმაღლესი ხარისხის ყველს.

„ყველკარაქმრეწვის" წალკის კოლექტივმა 10 აგვისტოსათვის შვეიცარული ყველის გამოშვების წლიური დავალება შეასრულა 100,2 პროცენტით. საერთო პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმა შესრულებულია 94,2 პროცენტით, წლიური კი 86,6 პროცენტით.

გუდაუთის პირას

... არასოდეს არ მინახავს ისე გულმშვიდი ზღვა, როგორც იმ დღეს. ზაფხულის პაპანაქებაში ისიც გარინდებულიყო. წყლის თვალუწვდენ სივრცეზე მხოლოდ ხანგამოშვებით გამოიკრთოლებდა ნიავი. მაშინ ჭავლებათ შენაოჭებული ზღვის ზედაპირი ისე ლაპლაპებდა მზის შუქზე, თითქოს მინის ნამსხვრევები მიმოუფანტავთო.

ცისფერი კატერი „სვეტლანა" მკერდით აწვებოდა ზღვას. გეზი სოჭისკენ ჰქონდა აღებული. უკან რჩებოდა მარადმწვანე ბაღებსა და წარმტაც ხეივნებში ჩამდგარი სოხუმი. რაც უფრო ვშორდებოდით მას, მით უფრო გრანდიოზულად მოჩანდა ამ კოპწიად მორთული ქალაქის ირგვლივ გორაკების ტერასებზე ამართული მრავალსართულიანი თეთრი სახლები, სანატორიუმები, კოტეჯები.

ჩვენი კატერი მგზავრებით სავსე იყო. გემბანის უკანა ნაწილის პირველი და მეორე სართული ფოთელ პიონერებს ეჭირათ. ისინი გუდაუთისა და გაგრის სანაპიროებზე საბანაკოდ მიემგზავრებოდნენ. კატერის წინა ნაწილი, კაპიტნის კოშკიდან მოკიდებული, სავსე იყო ხარკოვის გეოლოგიური ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი ქალ-ვაჟებით. მათ თან ახლდნენ პროფესორები და დოცენტები.

სტუდენტები პრაქტიკაზე წამოსულიყვნენ. ორი კვირა დაეყოთ ქლუხორში. საქართველოს ამ რაიონის ბუნებითა და ქართველთა გულუხვი მასპინძლობით აღტაცებულნი კავკასიონის თოვლიან და ალპურ ზონებს სწვევიან, გზადაგზა კარვები გაუმართავთ, კოცონებთან ღამე უთევიათ, ნისლით დაბურული მთების ზემოთ მზის ამოსვლისა და ჩასვლის გასაოცარი სურათები უნახავთ, ჩვენს მწყემსებთან ყოფილან, ხის ლამაზ ჩაყვაში ჩასხმული მაწონი უჭამიათ, ზედ რძიანი სულგუნი და ელარჯი დაუყოლებიათ, ციცაბო თხემებზე საცალფეხო ბილიკებით უვლიათ, ჯიხვი, არჩვი, შველი და ნუკრი უნახავთ, ამ მხარეში ბევრი გეოლოგიური დაკვირვება უწარმოებიათ. მერე ერთი კვირის განმავლობაში აფხაზეთის სვანეთზე გადმოუვლიათ, ჩვენი ქვეყნის ამ კუთხის წარმტაცი ბუნებით მოხიბლულნი სოხუმში ჩამოსულან.

რომელი სტუმარი წასულა სოხუმიდან გულნაკლული? სტუმართათვის სოხუმელები ისეთივე მომხიბლველნი არიან, როგორც ამ ქალაქის ბუნება. აქ სიყვარულით გავსებენ, სულით და გულით გაგიმასპინძლდებიან და გამოგისტუმრებენ. ყოველივე ეს არც ხარკოველთათვის დაუკლიათ სოხუმელებს. ამიტომაც დიდი იყო მათი აღტაცება.

— საქართველოს მხოლოდ ლიტერატურით ვიცნობდი, — მეუბნება ხარკოველი სტუდენტი ანატოლი კოცუბენკო, — იგი შემაყვარეს პუშკინმა, ლერმონტოვმა, გორკიმ, მაიაკოვსკიმ და თქვენმა დიდმა მწერალმა ყაზბეგმა თავისი რომანით „მამის მკვლელი", სადაც შესანიშნავადაა აწერილი ხალხი და ბუნება. მე ვიცოდი, რომ საქართველო წარმტაცი ქვეყანაა, რომ იგი ჩვენი დიდი კავშირის თვალმარგალიტია, მაგრამ ნანახმა ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. ადამიანის ენა და კალამი უძლურია სრულყოფილად გადმოსცეს ის გასაოცარი ფერთა სინაზე, მიუწვდომელი სიდიადე, რაც იმ მთებში ვიგრძენი.

არასოდეს არ მინახავს ბუნებით ასე მოჯადოებული ადამიანი. ანატოლი კოცუბენკოს სოხუმის, მისი ბოტანიკური ბაღის, საუცხოო საზაფხულო თეატრისა და ახალი პარკების დათვალიერების შემდეგ შინ დაბრუნება ეძნელებოდა.

— უნდა გამოგიტყდეთ, გადაწყვეტილი მაქვს ყოველ ზაფხულში ჩამოვიდე აქ, შეუძლებელია ადამიანმა წელიწადში ერთხელ მაინც არ ნახოს ეს მხარე...

სტუდენტები გემბანიდან გადასცქეროდნენ ზღვის სანაპიროზე ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებით შეკოჩრილ ქედებს, გორაკებს, მთებს, რომლებსაც თავზე ჯილასავით ადგა ცას მიბჯენილი დიდებული კავკასიონი.

კატერიდან სანაპირომდე სულ ორიოდე კილომეტრი თუ იქნებოდა. ხელისგულზე მოჩანდა მიჯრით ჩამწკრივებული თეთრად შეფეთქილი და ტოლით გადახურული კოლმეურნეთა ახალი სახლები, ხეივნები, ბაღები, ყანები. მართლაც წარმტაცი იყო ეს დიდებული პეიზაჟი. ასეა სოხუმიდან მოკიდებული გუმისთამდე, ახალ ათონამდე, გუდაუთამდე, გაგრამდე, იმის იქითაც.

ორი საათის შემდეგ „სვეტლანა" გუდაუთის ბოლაზს მიადგა. კატერმა ახალი მგზავრები აიყვანა და გაგრისკენ მიჰყვა მოლივლივე ზღვას.

* * *

საქართველოს ძველ გეოგრაფიულ რუკაზე გუდაუთა პატარა ადმინისტრატიულ ცენტრად არის აღნიშნული. მეფის დროს მთელ ამ მხარეს ერთი ბოქაული და ათიოდე ჩაფარი განაგებდნენ. ესენი იცავდნენ სოხუმ-ადლერის გზატკეცილზე მოვაჭრე ხუთიოდე მედუქნისა და ამ დაბაში მოკალათებულ ბედოვლათ თავადაზნაურთა ინტერესებს. იმ დროს აქ არ იყო არავითარი საწარმო, არც რაიმე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულება. გუდაუთას არც სკოლა ჰქონდა, არც კინო, არც თეატრი. მის კეთილმოწყობაზე არავინ ზრუნავდა.

გუდაუთამ ქალაქის პასპორტი საბჭოთა ხელისუფლების დროს მიიღო. დიადი სტალინური ხუთწლედების განმავლობაში იგი ერთიათად გაიზარდა მოსახლეობით, ტერიტორიულად. გუდაუთა ამაყად დგას საქართველოს ახალგაზრდა ქალაქთა რიგში. გრანდიოზულ შთაბეჭდილებას სტოვებს რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიმული მისი ლარივით სწორი, განიერი, დეკორაციული მცენარეების ტანსაბურველით მორთული ქუჩები. გამწვანებაში გუდაუთა ჩვენს სახელგანთქმულ სოხუმსა და ბათუმს ეჯიბრება.

გუდაუთის კეთილმოწყობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. დღეისთვის რეკონსტრუირებული და მოასფალტებულია ლენინის, სტალინის, კალინინის, ბერიას, ორჯონიკიძის, რუსთაველისა და ფრუნზეს ქუჩები. ქალაქის ცენტრში თორმეტი ათას კვადრატული მეტრის ფართობზე გაშენებულია ლავრენტი ბერიას სახელობის ბაღი. მას ამშვენებს ეკლარის ქვისგან ჩამოქანდაკებული ხალხთა ბელადის დიდი სტალინის მონუმენტი.

ჯერ კიდევ სამამულო ომამდე გუდაუთას ტერიტორიაზე საამურად შრიალებდა ხუთას ოცდაორი ათასი ძირი ევკალიპტი, კრიპტომერია, ჰიმალაური და ჩვენებური ფიჭვი, ლუნგუსტუმი, ოლეანდრა, ქოქოსისა და ფინიკის პალმები. სამამულო ომის წლებში გუდაუთელებმა ქალაქს შეჰმატეს ორმოცდახუთი ათასი ძირი მარადმწვანე დეკორაციული მცენარე; ხოლო წელს, ტყის დღესთან დაკავშირებით, ქალაქში ათი ათასი ძირი მრავალ და ერთწლიანი დეკორაციული მცენარე დარგეს.

ქალაქის მოსახლეობა და საწარმოდაწესებულებანი სოფელ ლიხნიდან გადმოყვანილ წყაროს წყალს იღებენ. წყალსადენის ქსელი კიდევ უფრო ფართოვდება. ქალაქში შენდება ახალი კინოთეატრი, მონტაჟდება ელექტროსადგური, რომელიც გაანათებს ქალაქს და საკმაო ენერგიას მიაწვდის თამბაქოს საფერმენტაციო და ჩაის ფაბრიკებს, ღვინისა და ლურსმნის ქარხნებს. ქალაქის ფარგლებში მოპირკეთებული და თეთრად შელესილია ყოველი სახლი, აგებულია ორი კარგად მოწყობილი სასტუმრო, საქალაქო ბიბლიოთეკა, უნივერსალური მაღაზიები, ტროპიკული სადგური, პოლიკლინიკა, საავადმყოფოები.

გუდაუთა საკავშირო მნიშვნელობის ზღვისპირა ქალაქი-კურორტი ხდება. ამას ხელს უწყობს მისი იშვიათი პლაჟი და ჰავა. ომამდე და მის შემდეგ აქ გაიხსნა დასასვენებელი სახლები, პიონერთა ბანაკები, ბავშვთა ბაგები და სანატორიუმები. აქ შექმნილია ყველა პირობა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კულტურული დასვენებისა და ჯანმრთელობის აღდგენისათვის. ვის არ შეხვდებით აქ! აქ ისვენებენ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ინდუსტრიული ცენტრებიდან ჩამოსული მუშა-მოსამსახურეები, სამხედრო პირები, მათი ოჯახის წევრები.

გუდაუთა ეჯიბრება ჩვენს სანაპირო ქალაქებს. იგი დღითიდღე იხვეჭს საკურორტო ბაღი-ქალაქის სახელს.

* * *

გუდაუთას მშვენებაა რამდენიმე ჰექტარზე გაშენებული კულტურისა და დასვენების პარკი. ამ პარკის აღმოსავლეთით, მდინარე გუდოუს შესართავთან, ზღვის პირას, მაღლა ატყორცნილან თვალშეუწვდომი კოპიტი და თუთა. სივრცეში განიერად გაშლილი მათი ტოტების ჩრდილში წამოჭიმულა ახლად დამთავრებული საზაფხულო თეატრი. მის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩოგბურთის მოედნის გადაღმა, დგას ხალხთა ბელადის დიდი სტალინის ურთგულესი თანამებრძოლის, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს უძლეველი მძიმე ინდუსტრიის ერთ-ერთი შემოქმედის, დაუვიწყარ სერგო ორჯონიკიძის ძეგლი. მის შეხედვაზე უმალვე თვალწინ წარმოგიდგებათ ცოცხალი სერგო, — მხარბეჭგანიერი, ბრგე, მარად მომღიმარი, შეუვალი, გრუხათმიანი, სოციალისტური რევოლუციის მტრების რისხვა და მეხი, მშრომელთა უსაზღვროდ მოსიყვარულე, დიდი ტრიბუნი.

სერგოს მარჯვენა ხელი მაღლა აუწევია, წინ გასცქერის, თითქოს ზღვა ხალხის წინ დგას და მისთვის ჩვეულ ცეცხლოვან სიტყვას ამბობს. მოქანდაკეს იშვიათი გემოვნებით შეუსრულებია ეს ძეგლი. მასში გაცოცხლებულია სერგოს ხელის მოქნევა, მხრების წამოწევა, დაძაბული გამოხედვა. შესცქერით მას და თითქოს თქვენს წინ დგას ცოცხალი სერგო, რომელმაც 1905 წელს, სოფელ ბამბორში ზღვიდან არალეგალურად იარაღის შემოზიდვის შემდეგ, ამ კოპიტისა და თუთის ძირში ხალხმრავალ მიტინგზე მგზნებარე რევოლუციური სიტყვა წარმოსთქვა. გუდაუთასა და მისი რაიონის მშრომელები მანამდე სერგოს უბრალო მკურნალად იცნობდნენ. იმ დღიდან მას დიდი სახელი გაუვარდა აფხაზეთში და ყველასათვის საყვარელი ადამიანი გახდა. უზომო ნდობისა და სიყვარულის გამო მას პირველად გუდაუთელებმა შეარქვეს „ჩვენი სერგო".

ეს სახელი ბოლომდე შერჩა მას. ასე ეძახოდნენ მას არალეგალურად მუშაობის დროს, საპატიმროსა და გადასახლებაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მთელი ათეული წლების განმავლობაში. „ჩვენს სერგოს" ეძახდნენ მას საქართველოში, კავკასიაში, რუსეთში, უკრაინაში, ყველგან — შორეულ აღმოსავლეთამდე.

სერგო ორჯონიკიძის ბრწყინვალე ხსოვნა არასოდეს არ გაქრება საბჭოთა ხალხის გულში. გუდაუთაშიც, მდინარე გუდოუს შესართავთან ზღვის ნიავქარში მოშრიალე კოპიტი და თუთაც თითქოს გამუდმებით იმეორებენ სერგოს დაუვიწყარ სახელს.

პოლიოღ აბრამია

გუდაუთა, 1948 წ. აგვისტო.

უ შ ი შ რ ო ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო შ ი

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. (საკდესი). [illegible]

მდგომარეობა დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 20 აგვისტო. (საკდესი). [illegible]

გაქცევები გერმანიის ოკუპაციის ზონებში

პარიზი, 20 აგვისტო. (საკდესი). [illegible]

საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ მიიღო ახალი კანონი რესპუბლიკის საბჭოს არჩევნების წესის შესახებ

პარიზი, 20 აგვისტო. (საკდესი). [illegible]

პროტესტები საფრანგეთში მთავრობისათვის საგანგებო რწმუნებათა მინიჭების წინააღმდეგ

პარიზი, 20 აგვისტო. (საკდესი). [illegible]

პარიზიდან გასული სოციალისტების დევნა საფრანგეთში

პარიზი, 20 აგვისტო. (საკდესი). [illegible]

ათენის ხელისუფალნი ამზადებენ პაპარიგასის მოკვლას

ბელგრადი, 20 აგვისტო. (საკდესი). [illegible] ძნეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივნის პაპარიგასის მოკვლას. [illegible] ყველა მშრომელთ იბრძოლონ პაპარიგასის განთავისუფლებისათვის".

ფულის რეფორმა ჩინეთში

ნანკინი, 21 აგვისტო. (საკდესი). ჩან კაიშის სამთავრობო ბრძანებულებით ჩინეთში გამოცხადდა ფულის რეფორმა. ბრძანებულების თანახმად, ნაცვლად ამჟამად ბრუნვაში მყოფი ბანკნოტებისა გამოშვებული იქნება ახალი ფული—ეგრეთწოდებული „ოქროს დოლარი".

ბრძანებულებით გათვალისწინებულია, რომ მოსახლეობის ხელში მყოფი ოქრო, ვერცხლი და უცხოეთის ვალუტა მთავრობას უნდა ჩაბარდეს დაწესებულ ფასად. როგორც გაზეთი „ზელინციბაო" აღნიშნავს, ფულის ახალი რეფორმის პროექტი კუნ სიან-სიმ შეიმუშავა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პარიზი, 21 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი შანხაიდან გადმოგვცემს, საერთო აზრით, ფულის რეფორმა ჩინეთში მხოლოდ არსებულ შეზღუდვათა და კონტროლის გაძლიერებას წარმოადგენს. როგორც შანხაის საქმიან წრეებში აღნიშნავენ, სავსებით წარმოუდგენელია, რომ ხალხმა ნებაყოფლობით ჩააბაროს მთავრობას ეგრეთწოდებული „ოქროს დოლარის" უზრუნველსაყოფად საჭირო ოქროს ზოდები და უცხოეთის ვალუტა. მოსახლეობაში სკეპტიციზმს გამოსთქვამენ იმის შესახებ, რომ მთავრობამ შესძლოს ფასების ზრდის თავიდან აცილება. პირიქით, ფულის რეფორმის შესახებ ცნობის გამოქვეყნების შემდეგ ბრინჯის, ყრმო-კარაქის, ქვანახშირისა და ფქვილის ფასები შავ ბაზარზე ერთ დღეში 10 პროცენტით გადიდდა.

სამხედრო კადრების მომზადება იაპონიაში „რკინიგზელთა" სახით

პრაღა, 20 აგვისტო. (საკდესი). როგორც ტელეპრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, იაპონიის დემოკრატიული პრესა იუწყება უცნაური საქმიანობის შესახებ, რასაც ეწევა ოსაკას ახლოს არსებული სკოლა, რომელშიც ვითომც „რკინიგზელებს" სწავლობენ. ამ სკოლის მსმენელები სინამდვილეში სამხედრო მომზადებას გადიან, რასაც მეთვალყურეობას უწევს ყოფილი იაპონელი ჯაშუში ნინეთში ნაკამურა. ამ სკოლაში შემოღებულია სამხედრო დისციპლინა. მოსწავლეს, რომელიც „მეცადინეობას" გამოსტოვებს, იმით სჯიან, რომ საუზმეს ან სადილს აღარ აძლევენ.

ოსაკას ახლოს არსებული სკოლის საქმიანობისადმი ყურადღება გამოიწვია ქეჩბში ამ სკოლის მსმენელთა გამოჩენამ, რომელნიც მხედრული წესით დადიან და „აზიის მბრძანებელ იაპონიაზე" მღერიან.

ნ ე ნ ი ს გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

რომი, 20 აგვისტო. (საკდესი). პასუხად შეკითხვისა ეგრეთ წოდებული „სოციალისტური ძალების გაერთიანების" შესაძლებლობის შესახებ, რის წინადადებასაც სარაგატელები იძლევიან, პიეტრო ნენიმ გაზეთ „ჯორნალე დელ ემილიას" (ბოლონია) კორესპონდენტს განუცხადა:

„ლაპარაკი სოციალისტური ძალების გაერთიანების შესაძლებლობის შესახებ სულ უფრო აბსურდულ ხასიათს იღებს. ჩვენ ვერ შევეთანხმებით იმათ, ვინც პარტია გასცა. სარაგატელები ჩვენი მტრები არიან, რადგან ისინი სოციალისტები აღარ არიან".

მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ი ნ დ ო ნ ე ზ ი ა შ ი

ჰააგა, 20 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ინდიშე კურანტი" იუწყება, ჰოლანდიის ჯარები აქტიურ საომარ მოქმედებას ეწევიან ტასიკმალაის რაიონში. ამ რაიონში ჰოლანდიის ჯარები გარშემოერტყნენ ინდონეზიის რამდენიმე სოფელს და დააპატიმრეს დიდძალი ინდონეზიელი მოქალაქე.

ანპის სააგენტოს ცნობით, იავაზე ინდრამაის სამხრეთით დიდი შეტაკება მოხდა ჰოლანდიის ჯარებსა და ინდონეზიელებს შორის.

არჩევნების წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. (საკდესი). მაშინ როცა დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიები სავსებით შეთანხმებული არიან ორპარტიული საგარეო პოლიტიკის მთავარ საკითხებში, პრეზიდენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით სწარმოებს „პარტიული შეხლა-შემოხლა", რომლის მიზანია მოიპოვონ მოსახლეობის ზოგიერთი ჯგუფის, მაგალითად, იტალიური წარმოშობის ამერიკელების ხმები. ამჟამად ტრუმენი და რესპუბლიკური პარტიისაგან პრეზიდენტობის კანდიდატი დიუი ერთმანეთს ეკამათებიან იტალიის კოლონიების საკითხზე. რამდენიმე დღის წინათ დიუიმ პრესის წარმომადგენელთ განუცხადა, რომ იგი მომხრეა იტალიის ადმინისტრაციული კონტროლისა მისი ყოფილი კოლონიებისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობის სისტემაში. 19 აგვისტოს ტრუმენმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ იტალიის კოლონიათა მომავალი ისეთი საკითხი არ არის, რომელიც ამერიკულმა პოლიტიკამ უნდა გადასწყვიტოს, არამედ ისეთი საკითხია, რომელიც უნდა გადასწყვიტოს ოთხმა სახელმწიფომ ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ.

საბჭოთა დელეგაციამ უარი სთქვა გეოდეზიისა და გეოფიზიკის ასამბლეის მე-8 სესიაში მონაწილეობის მიღებაზე

სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარ სამმართველოს მიწვევა მოუვიდა მონაწილეობა მიეღო გეოდეზიისა და გეოფიზიკის საერთაშორისო კავშირის გენერალური ასამბლეის მე-8 სესიის მუშაობაში ამა წლის 19-დან 28 აგვისტომდე ქალაქ ოსლოში (ნორვეგია). მისაწვევ წერილში ამ კავშირის პრეზიდენტმა დ. ფლემინგმა აცნობა სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარ სამმართველოს, რომ გენერალურ ასამბლეაზე ოფიციალურ წარმომადგენელთა შორის ფრანკისტული ესპანეთის წარმომადგენელნი არ იქნებიანო.

მაგრამ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საბჭოთა დელეგაცია ზემოხსენებულ ასამბლეაზე გაემგზავრებოდა, ოსლოდან ცნობა მოვიდა, ასამბლეაზე ფრანკისტული ესპანეთის სამი წარმომადგენელი ჩამოვიდაო. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარმა სამმართველომ უარი სთქვა თავისი დელეგაცია გაეგზავნა ასამბლეაზე და კავშირის პრეზიდენტ დ. ფლემინგს თავისი პროტესტი გაუგზავნა იმის წინააღმდეგ, რომ ფრანკისტული ესპანეთის წარმომადგენელნი მონაწილეობენ ასამბლეის მუშაობაში, აგრეთვე ამის თაობაზე კავშირის პრეზიდენტის მხრივ სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს დეზინფორმაციის წინააღმდეგ. (საკდესი)

საქართველოს ზოოვეტერინარულ - სავეტერინარო ინსტიტუტში 1948-49 სასწავლო წელს პირველ კურსზე ჩარიცხულთა სია

ზოოტექნიკური ფაკულტეტი

გ. ნ. არაბიძე, გ. რ. არაბიძე, ა. ბ. არუთინოვი, ბ. შ. ბიწკინაშვილი, გ. ა. ბოჭორიშვილი, დ. ფ. გოგრიჭიანი, რ. ი. გაჯიევი, შ. ს. გიორხელიძე, მ. დ. გვენცაძე, ნ. ბ. გოგიაშვილი, ა. გ. გოგატიძე, რ. ვ. გონაშვილი, ო. ს. გიორგაძე, ვ. გ. გოგიაშვილი, ე. ბ. გაბელაია, გ. ი. გიორგანაშვილი, გ. თ. დავითაშვილი, შ. მ. დარსაძე, ე. ზ. დუჩიძე, ნ. ლ. ელიზბარაშვილი, ს. გ. ზაზაძე, ა. ქ. კავაზიშვილი, ქ. გ. კვერკველია, რ. ნ. კამკამიძე, გ. ფ. კვირიკაშვილი, ქ. ვ. კიწმარიშვილი, ლ. გ. კერესელიძე, ნ. რ. კობახიძე, ნ. ს. ელენტი, გ. ს. ლოპარტელიანი, ნ. პ. ლაზარაშვილი, ნ. ქ. ლავრელაშვილი, გ. ჩ. ლუკავა, ა. ს. მამისაშვილი, პ. ა. მახარობლიძე, ო. გ. მღებრიშვილი, მ. გ. მიროტაძე, ტ. დ. მამუკაშვილი, ა. ს. მიქელაძე, ნ. ბ. მეფარიშვილი, ნ. მ. მეფარიშვილი, ლ. ვ. მესხი, ზ. ვ. მიყარაშვილი, გ. პ. ნიქაბიძე, ა. ა. ობოლაშვილი, გ. ი. ოქრომჭედლიძე, მ. ვ. ოტიაშვილი, შ. ი. სულთანოვი, ლ. ვ. სუხიშვილი, გ. პ. სუთიძე, ი. ვ. ტყემალაძე, შ. ა. ტყემალაძე, შ. შ. ხარატიშვილი, ფ. ვ. ხოსიტაშვილი, ე. ვ. ხატიაშვილი, დ. ე. ხარატი, ვ. ი. ხარაშვილი, ა. მ. ჩავლეიშვილი, ტ. ტ. ჩხეიძე, ვ. ნ. ცუცქირიძე, ზ. გ. ციცქიშვილი, ტ. გ. ცაგარეიშვილი, ო. ა. ცომაია, ა. გ. შავიძე, ნ. გ. შაიშმელაშვილი, ნ. ე. შველიძე, მ. დ. ქარუმიძე, მ. ვ. ქელბაქიანი, ვ. ი. ქინქლაძე, შ. მ. ფილიაშვილი, ბ. ა. ფანცულაია, შ. ბ. ჯიქურაშვილი, შ. ა. ჯობაძე, მ. ბ. ჯოლია, ლ. ი. ჭარაქაძე.

სავეტერინარო ფაკულტეტი

გ. გ. აბესაძე, გ. ზ. ანუაშვილი, ვ. ს. ახალქალაქელოვი, რ. ს. ანთაძე, ა. რ. არზუმანოვი, გ. ლ. ბურჭულაძე, თ. გ. ბაზუნაშვილი, გ. ი. ბერიკაშვილი, მ. ი. ბეცაშვილი, თ. ა. ბულაძე, თ. ა. ბაინდუროვი, ლ. გ. ბურკაძე, ლ. რ. ბენაშვილი, გ. ი. ბიკაშვილი, მ. ი. გელაშვილი, ს. შ. გეგეჩაძე, ვ. ი. გურგენიძე, შ. ს. გაბიტაშვილი, ვ. ე. გოგუაძე, მ. ი. გონიტაშვილი, ნ. გ. გაგუა, ბ. ა. გაბაიძე, თ. ა. დედეჩავა, მ. დ. დარჩია, ა. გ. დანელია, ქ. ვ. ერაძე, გ. გ. ეგია, ზ. ა. ვაჩნაძე, გ. ნ. ვარლამიძე, თ. ა. ქვანია, მ. ს. ზუმბაძე, ზ. ფ. თავზერიძე, ს. ა. თევზაძე, ნ. ა. კობახიძე, ნ. ნ. კახეთელიძე, მ. ბ. კაპანაძე, ო. შ. კიკნაძე, გ. რ. კიკვიძე, მ. ბ. კობახიძე, პ. ნ. ლორთქიფანიძე, შ. ე. ლაგაზიძე, ა. ა. მაისურაძე, ც. ა. მენთეშაშვილი, ნ. ლ. მეტრეველი, ე. მ. მაისურაძე, მ. დ. მესტვირიშვილი, მ. დ. მაისურაძე, ბ. ი. მიქელაძე, ი. ქ. საბიაშვილი, რ. ა. ტარულოვი, ი. ა. ხუციშვილი, ნ. ი. ხიზანიშვილი, ი. ი. ხუმარაშვილი, ა. ს. ღაღანიძე, გ. პ. ღვალაძე, რ. მ. ყანჩაველი, რ. გ. ყიფიანი, ყ. ი. ყალოროვი, ვ. პ. ჩიხვარიანი, ზ. ნ. შავერდაშვილი, ე. ნ. შიუკაშვილი, ე. შ. შენგელია, ი. ა. ცომაია, ვ. დ. ცერცვაძე, ი. მ. ცეცხლაძე, ქ. ი. ქართველიშვილი, ს. შ. ქაჩიბაია, მ. ი. ფეტკარაძე, ი. ი. ჯავახიშვილი, ა. გ. ჯანყარაშვილი, გ. ვ. ჯაფარიძე, ი. ნ. ჭითაშვილი, ქ. დ. ჭუმბურიძე, თ. დ. ჭანკოტაძე, ნ. ე. ჭიპინაძე.

სიაში აღნიშნული პირები ა. წ. 29 აგვისტოს უნდა გამოცხადდნენ ინსტიტუტის სასწავლო ნაწილში.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის დირექტორი დოცენტი
ნ. ი. ცომაია

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

გორი. სოფელ ახრისის კოლმეურნეებმა საკუთარი საშუალებებით ააგეს ახალი საკოლმეურნეო კლუბი, რომელიც 250 მაყურებელს იტევს. კლუბთან მოწყობილია ქოხ-სამკითხველო, რომელიც უზრუნველყოფილია ლიტერატურითა და სათანადო ინვენტარით.

ამბროლაური. კულტსახლის ძალებით გამოიყო აგიტმხატვრული ბრიგადა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის დ. ხუციშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც მომსახურებას გაუწევს რაიონის კოლმეურნეებს მოსავლის აღების დღეებში. ბრიგადა უკვე გაემგზავრა რაიონის სოფლებში სალაშო-წარმოდგენების გასამართავად.

სიღნაღი. სოფელ მაღაროს კოლმეურნეობა „შრომაში" მოაწყეს ახალი საკოლმეურნეო სამკითხველო. სამკითხველოსათვის კოლმეურნეობამ შეიძინა 3.000 მანეთის ახალი მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა.

ქლუხორი. დამთავრდა მთელი რაიონის რადიოფიკაცია. ამჟამად რადიოკვანძები მუშაობს ქალაქში, ტებერდაში, სახელოსნო სასწავლებელში, სანატორიუმებში და სხვ. სულ რაიონში ითვლება 800 რადიოწერტი და 46 რადიომიმღები. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ მიმდინარე წელს მოაწყო 50-ვატიანი რადიოკვანძი, საიდანაც 65 კოლმეურნის ოჯახში გაყვანილ იქნა სატრანსლაციო ხაზი, ხოლო სოფლის ცენტრში დადგეს რეპროდუქტორები.

თელავი. სოფელ კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში დაამთავრეს ელექტროკიოსკის მშენებლობა და ხაზების გაყვანა.

ახალი კინოჟურნალები

კინონარკვევი „სოციალისტური კულტურის კერა"

უახლოეს ხანებში კინოეკრანზე გამოვა საქართველოს კინოსტუდიის დოკუმენტალური ფილმების სექტორის ნაწარმოები „სოციალისტური კულტურის კერა".

ფილმში ნაჩვენებია უნივერსიტეტის—საქართველოს კულტურის ამ ერთ-ერთი უდიდესი კერის ცხოვრება.—სამეცნიერო მუშაობა, სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები, აგრეთვე ჩვენი სახელოვანი მხცოვანი მეცნიერები და მათი აღზრდილები—ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერები.

კინონარკვევი მიძღვნილია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 30 წლისთავისადმი.

ფილმის რეჟისორია გ. გუნია.

კინოჟურნალი „მეშახტის დღე"

მეშახტის დღის აღსანიშნავად საქართველოს კინოსტუდიის დოკუმენტალური ფილმების სექტორი სპეციალურად უშვებს კინოჟურნალს „მეშახტის დღე".

ფილმში ასახულია საქართველოს მეშახტეების გმირული შრომა მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში, მეშახტეთა ცხოვრება ოჯახში, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, მათი კულტურული გართობა და დასვენება.

ფილმის რეჟისორია ვ. ვალიშვილი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

სოხუმის ლ. პ. ბერიას სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, მათემატიკა, ფიზიკური გეოგრაფია.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქენი არა უმეტეს 40 წლის ასაკისა, რომელნიც მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ: 1. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, 2. სპეციალურ დისციპლინაში, 3. რუსულ ენასა და 4. ერთ-ერთ უცხო ენაში.

ასპირანტურაში ჩარიცხვის მსურველმა განცხადება უნდა შემოიტანოს დირექტორის სახელზე და დაურთოს შემდეგი საბუთები: 1. კადრების აღრიცხვის ორი პირადი ფურცელი ფოტოსურათებით, 2. ავტობიოგრაფია, 3. დიპლომი, 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 5. დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან ან უმაღლესი სასწავლებლიდან, 6. საბუთი სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ, 7. რეფერატი სპეციალურ საგანში. განცხადება მიიღება ა. წ. 20 სექტემბრამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 20-დან 30 სექტემბრამდე.

ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. სოხუმი, სტალინის ქ. № 21, ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო ნაწილი.

ელექტროენერგიის მომხმარებლების საყურადღებოდ

ზემდგომი ორგანიზაციების დადგენილების და სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს ბრძანების თანახმად, ახალი მომხმარებლების მიერთება საქენერგოს ქსელებზე სწარმოებს მხოლოდ წინასწარ წარდგენილი განაცხადების საფუძველზე.

ყველა ორგანიზაცია, რომელთაც გათვალისწინებული აქვთ 1949 წელს ახალი ელექტროდანადგარების მიერთება, ვალდებულია ა. წ. 15 სექტემბრამდე წარმოადგინოს განაცხადი, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს: ობიექტის დასახელება, ადგილმდებარეობა, მოთხოვნილი სიმძლავრე და საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადა.

განაცხადი წარმოდგენილ უნდა იქნას საქენერგოს ენერგოგასაღების სახელზე შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, კამოს ქ. № 28-ა.

ელექტროდანადგარებზე, რომლებიც ქალაქის ელექტროქსელებს შეუერთდება, განაცხადი ზემოთ ნაჩვენებ ვადაში უნდა წარედგინოს სათანადო ქალაქის ელექტროქსელის სამმართველოს, ხოლო განაცხადის პირი გადაიგზავნოს საქენერგოს ენერგოგასაღებაში.

მოქალაქე **მიტროფანე არსენის-ძე დიასამიძემ** მცხოვრებმა I პროლეტარის ქუჩა, № 12, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **თამარ კონსტანტინეს ასულ დიასამიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ლავრენტი ალექსანდრეს-ძე ოძელაშვილმა**, მცხოვრებმა ელბაქიძის დაღმართი, № 19, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ევგენია ნიკოლოზის ასულ წიკლაურთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

დედა ივლიტა, დები ნინო, თამარ, ლენა მოქძეები იუწყებიან **დავით ნოეს-ძე მიქაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-VIII, ქ. სამტრედიაში.

ქმარი გედევან მურუსიძე შვილებით, დედა ფროსია, დები მარუსია, ვერა, პასიკო ოჯახებით იუწყებიან **ნინა მურუსიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23. 24-VIII, 7 ს. გამოსვენება 25-VIII, 6 ს. გორის, 5.

მეუღლე ანიკო, შვილები ელზა, როზა, მერი, ნოდარ პაკელიანები იუწყებიან **მელიტონ ნიკოლოზის-ძე პაკელიანის** გარდაცვალებას პანაშვიდი 24, 25-VIII, 8 ს. გამოსვენება 26-VIII, 6 ს. ბესიკის II შესახ. 2.

ბერიას სახელობის რაიფინგანის თანამშრომელთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს სპირიდონ პაპავას მისი შვილის **ვაჟას** გარდაცვალების გამო.

ტატიანა, მანია, აზა, ნანული და ქაქო ართბელიძეები იუწყებიან **ვაჟა სპირიდონის-ძე პაპავას** გარდაცვალებას. გამოსვენება 22-VIII, 3 ს. რუსთაველის, 2.

მეუღლე ნატალია, შვილები ნოდარ და ლამარა, დები ვერა, თამარ, ძმა ვახტანგ ძინძიბაძეები ოჯახებით იუწყებიან **პავლე სიმონის-ძე ძინძიბაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-VIII ხაშურში.

საქართველოს „ინტურისტის" თანამშრომელთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს იაგორ ჩეჩხაძეს მისი ძმის **ხარიტონ მაქსიმეს-ძე ჩეჩხაძის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 22-VIII ქ. მახარაძეში.

თბილისის ქალაქის ალმასკომის ლომბარდის ადმინისტრაცია, პარტორგანიზაცია, ადგილკომი და თანამშრომლები იუწყებიან **ვაჟა პაპავას** გარდაცვალებას.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის საბავშვო ბაღების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ სპირიდონ პაპავას მისი შვილის **ვაჟა სპირიდონის-ძე პაპავას** გარდაცვალების გამო.

რუსთაველის პროსპექტის № 2 სახლის მობინადრეები იუწყებიან **ვაჟა სპირიდონის-ძე პაპავას** გარდაცვალებას.

მელანია. ვარლამ. ნატალია, შატულა, მარი, ნორა, გურამ, ნელი პაპავები. კოტე, ლიდა, ქსენია, თალიკო ფუტურიძეები იუწყებიან **ვაჟა სპირიდონის-ძე პაპავას** გარდაცვალებას.

მეუღლე ვასილ. შვილები თამარ და მარგალიტა, ა. კუტივაძე და ი. ფარესიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ 28-VIII, 6 ს. ქ. ქუთაისში, ძელქვიანის სასაფლაოზე დანიშნულია **ლეონინა ალექსის ასულ ძნელაძის** პანაშვიდი.

[illegible] მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებები: პროპაგანდის — 3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-34, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო [illegible] 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24. მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

[illegible] № 28. ტირაჟი 110.000 უე 11698